ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

## ნინო ლომჯარია: „შოკში ვარ, საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ“

გვ.2



ორშაბათი, 20 სექტემბერი, 2021 №175 (8704) ფასი: 60 თეთრი

# „სააკაშვილმა საკუთარ თავს არჩევანი აღარ დაუტოვა“

გვ.3



სოსო ცინცაძე: „საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს უფრო დაეჯერება თუ ავსტრიის ნებისმიერ კლინიკას?!“

„თუ ოდესმე დასჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბება, ახლა სჭირდება, მაგრამ წავა კი?!“



## „ოცნებამ“ ამერიკას მიმართა დახმარებისთვის, რომ როგორმე შეჩერდეს ფაილების გავრცელება“

გვ.2



თაკო ჩარკვიანი: „ჩანაწერებს რუსეთი აკეთებს, თურმე ივანიშვილსაც უსმენდნენ, გრიალებს რუსეთის უშიშროება“

„სირცხვილია, როცა გახარია თავს მერად გვთავაზობს“

გვ.4



შოთა მალაშხია: „ადამიანებმა იმათ არ უნდა დაუჯერონ, ვინც ხშირად გამოერჭობიან ტელევიზორში და ცრუ დაპირებებით აავსებენ. უნდა აირჩიონ ის, ვინც რუსეთისკენ არ მიდის და რეალურ დაპირებებს იძლევა“

## „რუსეთს თუ დასჭირდება, ივანიშვილი, გახარია და ინაშვილი გაერთიანდებიან“

## „თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობის 60% არ აიცრება“

გვ.3



სერგო ჩიხლაძე: „მეხუთე ტალღა იქნება, მაგრამ, სავარაუდოდ, უფრო შემოდგომის ბოლოს“

## მეგის ქარდავა უკრაინამ საქართველოს გადმოსცა

ის რუსთავის ციხეში გადაიყვანეს



გვ.5

ISSN 1987-9385

5 „ნიკო კვარაცხელია 20 წლის აკო ჭელიძემ მოკლა“

3 მეუფე სტეფანემ პეტრე ცაავას მომხრე სასულიერო პირები ეკლესიიდან განკვეთა

5 პოლიციამ ამოიღო 8.000 ლარი, 44 აბი სუბოქსონი, 247 შეკვრა ნარკოტიკი

6 ბაიდენმა მაკრონს დარეკვა სთხოვა
საუბარი რამდენიმე დღეში შედგება

# „ოცნებამ“ ამერიკას მიმართა დახმარებისთვის, რომ როგორმე შეჩერდეს ფაილების გავრცელება“

## თაკო ჩარკვიანი: „ჩანაწერებს რუსეთი აკეთებს, თურმე ივანიშვილსაც უსმენდნენ, გრიალებს რუსეთის უშიშროება“

იაგო ნაცვლიშვილი

**ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.**

***– რა ხდება ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით. ახალ-ახალი ჩანაწერები ვრცელდება? რასთან გვაქვს საქმე – რა ტიპის სახელმწიფო გვაქვს? რა გამოჩნდა ამ სკანდალით?***

– მართლაც საშინელება ხდება. ზოგადად დასავლეთის ქვეყნებში თუკი რამე დანაშაულია უსაფრთხოების კუთხით, მაშინ უსაფრთხოების სამსახურები აგვარებენ მას კანონის ჩარჩოებში. აქ თვითონ „უსაფრთხოების“ სამსახური საშიშროებას უქმნის ქვეყანას. ამ ტიპის ქვეყანაში რაც ხდება, ეს უსაფრთხოება არ არის. ეს არის რუსეთისთვის გაკეთებული ჩანაწერები.

ნოდარ მელაძის გადაცემაში იყო, რომ ივანიშვილს და მის მოძღვარსაც უსმენდნენო.

***– აქ ჩნდება კითხვა – თუ ივანიშვილსაც კი უსმენდნენ, მაშინ ვინ აკეთებს ამას?***

– რუსეთი. უბრალოდ, რაშია იცით საქმე? ასეთ კავშირში რომ აღმოჩნდები მოღალატეობრივად ოკუპანტ რეჟიმთან, მერე შენ თავად ხარ განწირული. სულ ის მახსენდება ხოლმე, რომ „ჭკვიანი კაცია, მაგრამ აგენტი“. არ არსებობს, ერთი ცხოვრება გვაბადია და ნებსით თუ უნებლიეთ, ვიღაცაზე დამოკიდებული როდესაც აღმოჩნდები, არ შეიძლება შენ გერქვას ჭკვიანი! ჭკუა ცოტა სხვა რამეა. ვინ აკეთებს ამას და რუსეთის უშიშროება აკეთებს.

***– იმას ამბობთ, რომ ჩვენი უშიშროების სამსახურები მთლიანად რუსეთისგან კონტროლდება?***

– რა თქმა უნდა.

***– ეს ივანიშვილმა არ იცოდა?***

– როგორ არა. უბრალოდ, ასე მჭიდრო კავშირში რომ აღმოჩნდა პუტინის რეჟიმთან, მერე ალბათ პუტინის ცნობილ ჩაის ელოდება არაცნობიერში. ამ ტიპის აგენტები თვითონ არიან ხოლმე განწირულები. წარმოიდგინეთ, რუსეთის უშიშროება შემოიყვანა.

***– ანუ, ივანიშვილს ჰპირდებოდნენ, რომ მასზე არ გააკეთებდნენ ჩანაწერებს, მაგრამ მასზეც გააკეთეს?***

– რა თქმა უნდა. ეს არის რუსეთზე გამოკიდებული ტიპის ბედ-იღბალი. ამიტომ გავიძახი, რომ ოკუპანტს უნდა დაარქვან სახელი. აი, თაკო ჩარკვიანი რომ გაჰკიოდა და კითხულობდნენ, რომ კარგი ახლაო... ხომ გახსოვთ, ყველა, მინუს ივანიშვილი რომ იყო პროექტი. არა მეთქი ვამბობდი, ყველა ოკუპანტის წინააღმდეგ-მეთქი. მხოლოდ ივანიშვილი არ არის ამ სქემაში. მთლიანად აგენტურაა, ქსელია. რუსეთმა გაუკეთა ამ დონის „ვერბორკა“, ამ დონის ჯაშუში ჰყავს და მერე შენ ვილაცებს გვერდით ისვამ?!



**„სირცხვილია, როცა გახარია თავს მერად გვთავაზობს“**

***– უხეშად რომ ვთქვა, თუ მთელი პოლიტიკური სპექტრი რუსეთს ყურებით უჭირავს, მაშინ რა არის საშველი?***

– საჭიროა ჭკვიანური ბრძოლა. პედოფილიაზეც იყო საუბარი ამ ჩანაწერებში, არ მინდა ახლა დეტალები მე გავახმოვანო. როდესაც ეს წავიკითხე, გულზიდვა ვერ მოვიცილე. რაღაცა სიფრთხილე უთუოდ საჭიროა. არ ვიცი რა და როგორ, პროფესიონალებმა უფრო იციან ეს თემა. ალბათ ფსიქოლოგებმაც უნდა იმუშაონ. ძალიან ცუდი მდგომარეობაა და არ მივაყოლოთ ჩვენი ქვეყანა.

რუსეთის უსაფრთხოება შემოუშვეს და მაპატიეთ, მაგრამ გრიალებს რუსეთის უსაფრთხოება, რუსეთზე მომუშავე აგენტურა. ხომ გახსოვთ ტრისტან წითელაშვილი და მასზე რომ სიფრთხილით იწყებ ლაპარაკს, იდიოტი არ ხარ?! ან იდიოტი ხარ, ან მავნებელი.

***– ალბათ ხელისუფლება თავადაც ხვდება, რა მძიმედაც აქვს საქმე და არ უნდა იყოს მოწადინებული, რომ ამ ვითარებაში მოახერხოს მთელ პოლიტიკურ სპექტრთან გაერთიანება ამ კონკრეტულ საკითხზე, რომ ერთად იპოვონ გამოსავალი?***

– რანაირად?! თვითონ მუშაობენ რუსეთზე და როგორ მოახერხებენ?! გადამოწმებული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, როგორც გავიგე, თითქოს მიუმართავთ ამერიკისათვის დახმარების თხოვნით. გაჟონა ინფორმაციამ და მორჩა. უთხოვიათ დახმარება, რომ როგორმე შეჩერდეს ამ ფაილების გავრცელება. ახლა რანაირად გააჩერებენ, არ ვიცი. უბედურება მოხდა, ჯინი ამოვიდა ყუთიდან.

***– ჯინი ამოვიდა, მაგრამ ხელისუფლება ბრძოლის მეთოდებს არ ცვლის. ისევ სისხლიანი ბანერები დედაქალაქის ცენტრში. ეს რას ნიშნავს?***

– რუსეთზე მუშაობენ. რუსეთის ხელისუფლებაა. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ამას. ასეთ ბრალდებას როგორ ვიკადრებდი?! ამის იქით ბრალდება არ არსებობს, მაგრამ ფაქტებით ვისაუბროთ, რა ხდება ოკუპირებულ საქართველოში. რათ გვინდა ბევრი ლაპარაკი. მათ ქნეს ეს ამბავი. ჩვენ ამდენი ხანია ამაზე ვლაპარაკობთ, ვისაც გარკვეული ინფორმაციები გვქონდა. მე მქონდა რაღაც ინფორმაციები და ლამის ტანზე შემოვიხიე, რომ აბა რუსეთი და რამდენჯერ მოგისმენიათ პირადად თქვენც ეს ჩემგან?!

რაც შეეხება ბანერებს, ეს არის საშინელება და საზიზღრობა, აზელვა ყველანაირი ღირებულებების. ავიღოთ, მაგალითად, გუბაზ სანიკიძე, სისხლიანი გუბაზ სანიკიძე რა არის?! მაინტერესებს. ეს ხომ ტიპიური „კაგებეშნიკური“ მამაძაღლობაა?!

***– გახარიაც რომ გაჩნდა მანდ, ეს რაზე მიანიშნებს?***

– არ შეიძლება. არის რაღაცები, რაც არ უნდა ირღვეოდეს, არის უდანაშაულობის პრეზუმპცია და უნდა დაიცვა. ეგენი თვითონ აწესებენ. მათი მოპარული ქონებების გადარჩენა არის კორუფციულ სივრცეში და კორუფციული სივრცე ახლომახლოდ არის რუსეთში, მეტი არაფერი არ ხდება.

ქმარი მყავს ბიზნესში და არ მითხრათ, რომ მილიონები კეთდება საქართველოში. არ კეთდება. საწარმო არ არის ქვეყანაში და არაფერი, სად კეთდება?! კოვიდზე არ ყოფნით ფული. სად წაიღეს მილიონები?! სად იშოვეს ეს მილიონები, მაინტერესებს. ჩვენ გვქონდა კლინიკა. „ფორმულამ“ გააკეთა გადაცემა და აღმოჩნდა, რომ ისმინებოდა ჩემი მეუღლე. კლინიკა დღეს აღარ არსებობს, ჩაიძირა. ჩვენ არ გვაქვს მილიონებიანი ბიზნესი. ეს იყო გაკეთებული ბანკით. შენ როდესაც ქვეყანას გააჩერებ და დედამიწის ზურგზე ყველაფერს დაკეტავ... ჩემი მეუღლე არ არის იმ ტიპის ადამიანი, რომ დაბალი ხარისხის პროდუქცია შეიტანოს. ამიტომ, ველარ გავქაჩეთ და დავხურეთ. ამ დროს, როდესაც ხედავ, რომ ბიზნესმენი მუშაობს, დღეს და ღამეს ასწორებს, ხელი უნდა შეუწყო მას. ამ კოვიდის დროს კლინიკის დახურვა შეიძლებოდა?! არ მიყვარს ხოლმე წუწუნი, უბრალოდ ფაილებში აღმოჩნდა და ამიტომ ვთქვი. ისეთი გაჭირვებაა, რომ არ ვაძლევ თავს უფლებას, ასეთ რაღაცებზე ვილაპარაკო. ჩვენ საჭმლის ფული ნამდვილად არ გვაკლია.

***– ვნახეთ ღარიბაშვილის საუბარი გახარიაზე და პირდაპირ დაადანაშაულა გახარია, რომ უდანაშაულო ხალხს თვალები დასთხარა. ეს რიტორიკა ახალია ხელისუფლებისგან. ახლა გაახსენდათ?***

– იცით, რომ მე არანაირად გამოვირჩევი გახარიას დაცვით და მას მწვავედ ვაკრიტიკებ, მაგრამ ღარიბაშვილი გულისამრევია. ადამიანი, რომელმაც აცემინა ჟურნალისტები, მისი მოწოდების გამო მოხდა ზუსტად 5 ივნისი. რაც მან გახარიაზე ილაპარაკა, ეს იყო ამაზრზენი. ჯერ ერთი, რა ფრაზებიც გამოიყენეს – „კოკაინშიკიო“... „კაკაინშიკი“ იყო და ჯერ შს მინისტრად დაგვინიშნეს და მერე ქვეყნის პირველ პირად?! მე სულ ვამბობ, რომ დიდი სირცხვილია, როდესაც გახარია თავის თავს გვთავაზობს მერად, მას შემდეგ, რაც მან 20 ივნისს ადამიანებს გაუკეთა, მაგრამ ღარიბაშვილის გამოსვლა ცალკე თემაა. ეს იყო უტიფრობის პიკი.

***– ვინ უფრო უტიფარია, ღარიბაშვილი თუ კობახიძე?***

– ორივე ერთნაირი კატასტროფაა. იმაზე საერთოდ ლაპარაკი არ მინდა, მას დავარქვა სახელი – კონსტი-ტუტუციონალისტი.

# ნინო ლომჯარია: „შოკში ვარ, საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ“



– გამოჟონილი დოკუმენტების მოცულობამ, ინფორმაციის დეტალურობამ, რასაც რიგითი მოქალაქეების თაობაზე სახელმწიფო აგროვებს, შოკში ჩამაგდო.

ამის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „პოლიტ-ქალაქი“ განაცხადა.

ომბუდსმენის განცხადებით, ეს დოკუმენტები ადასტურებს, რომ ნამდვილად არის ტოტალური მოსმენები.

– მე, ალბათ, როგორც ძალიან ბევრი მოქალაქე, ვფიქრობდი, რომ ღია ხაზზე საუბარი, სულ მცირე, არ იყო უსაფრთხო. ეს იქიდან გამომდინარეც, რომ მრავალი წელია ადამიანების უფლებათა დამცველები ვსაუბრობთ, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა საკმარის დაცულობას და გარანტიას არ იძლევა იმისა, რომ ჩვენი სატელეფონო საუბრები არ ისმინებოდეს. შესაბამისად ძალიან მაღალი იყო ამის ალბათობა. თუმცა, გამოჟონილმა დოკუმენტებმა, მათმა მოცულობამ, ინფორმაციის დეტალურობამ, რასაც რიგითი მოქალაქეების თაობაზე სახელმწიფო აგროვებს, სიმართლე გითხრათ, მე შოკში ჩამაგდო.

ნამდვილად არ ველოდი, რომ შესაძლებელია არასაჯარო პირის შესახებ, მისი პირადი ცხოვრების, პირადი კომუნიკაციის შესახებ ამდენი ინფორმაცია გროვდებოდეს უწყებაში. კითხვები ნამდვილად არ მაქვს, ეს დოკუმენტები ადასტურებს, რომ ტოტალური მოსმენებია ნამდვილად, რადგან აქ საუბარი არ არის 10-20-30 ადამიანზე, საუბარია ასობით ადამიანზე და მათთან დაკავშირებულ პირებზე, – განაცხადა ლომჯარიამ.

მისივე თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ჯგუფი თემატურად მუშაობდა. ლომჯარიას ვარაუდით, „ჩანაწერები, რომლებიც გავრცელდა, არის რელიგიური თემატიკა და არსებობს დანარჩენი თემატიკებიც“.

ომბუდსმენის თქმით, ის გაეცნო მასალებს და დაინტერესდა, რამდენად ტოვებდა რეალურ შთაბეჭდილებას. ლომჯარიას განცხადებით, მან ჩანაწერებში საკუთარი სახელი და გვარიც მოძებნა და ნამდვილად ჰქონდა ის კომუნიკაცია, რაც ჩანაწერებშია.

– ალბათ, მიზანი არის ის, რომ ყველა პირის შესახებ, მათი ყველაზე სუსტი წერტილების თუ კავშირების შესახებ ჰქონდეთ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში, თუ ოდესმე, რამეში გამოადგებათ, სავარაუდოდ, ეს პოლიტიკური მიზანია, გამოიყენებენ, – განაცხადა ლომჯარიამ.

კითხვაზე, „სახალხო დამცველს რისი თქმა შეუძლია, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რა ქვეყანა მივიღეთ“, ომბუდსმენმა უპასუხა:

– საშინელ, საშინელ ქვეყანაში, გულწრფელად ვფიქრობ, რადგან ამ ტიპის კონტროლს, რომლის მასშტაბის შესახებაც წარმოდგენაც არ მქონდა, ვერც წარმოვიდგენდი.

# ირაკლი კობახიძე: „კალაძე აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე მელია და მელია აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე გახარია“



– კახა კალაძე აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე ნიკანორ მელია და ნიკანორ მელია აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე გიორგი გახარია. მერობის კანდიდატი მესამე ადგილისთვის რომ იბრძვი აპრიორი, ოლიმპიადაა თუ რა არის? ბრინჯაოს მედლისთვის რატომ უნდა იბრძოლო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „360 გრადუსი“ განაცხადა, რითაც გიორგი გახარიას თბილისის მერობის არჩევნებში მონაწილეობას გამოეხმაურა.

ირაკლი კობახიძის შეფასებით, გიორგი გახარიას დამოუკიდებლობის ხარისხი ნულია და მისი დავალება როგორმე ნიკანორ მელიას მეორე ტურში გაყვანაა.

– ადამიანი პრაქტიკულად გაანადგურეს, კაცი იყო პრემიერ-მინისტრი და საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა იმ დროისთვის, ეს რეიტინგი განადგურებული აქვს, გადააყენეს მელიას გულისთვის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან, სრულიად უპერსპექტივოდ დააყენეს თბილისის მერობის კანდიდატად და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ნიკანორ მელია აიღებს კალაძეზე ორჯერ ნაკლებ ხმას და გახარია აიღებს მელიაზე ორჯერ ნაკლებ ხმას.

ჩვენ შევხვდეთ 3 ოქტომბერს და დავიმახსოვროთ ეს სიტყვები – კახი კალაძე აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე ნიკანორ მელია და ნიკანორ მელია აიღებს ორჯერ მეტ ხმას, ვიდრე გიორგი გახარია. მერობის კანდიდატი მესამე ადგილისთვის რომ იბრძვი აპრიორი, ოლიმპიადაა თუ რა არის? ბრინჯაოს მედლისთვის რატომ უნდა იბრძოლო ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა.

ასეთ სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენეს ეს კაცი. როცა რაღაც თამაშში შედიხარ, ანუ რაღაც თამაში ვილაცებს ჰგონიათ კომფორტული, არ ვიტყვი რა არის ეს თამაში და ამ დროს იმ თამაშში როგორც კი შედიხარ, შენი დამოუკიდებლობის ხარისხი ხდება აბსოლუტურად ნული და სწორედ ნული როცაა შენი დამოუკიდებლობის ხარისხი, მაშინ იბრძვი ბრინჯაოს მედლისთვის არა ოლიმპიადაზე, არამედ თბილისის მერის არჩევნებში. მისი დამოუკიდებლობის ხარისხი არის აბსოლუტურად ნული, როცა ეტყვიან, რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა თბილისის მერის არჩევნებში, იღებს მონაწილეობას და იბრძვის მესამე გარანტირებული ადგილისთვის.

ჩვენ არც ერთხელ არ გვითქვამს, რომ ის დავალებებს იღებს „ნაციონალური მოძრაობისგან“, ასეთი მიამიტები ჩვენ არ ვართ, არის რაღაც სხვა. არის გარკვეული მოცემულობა, რაშიც არის მოქცეული ეს კაცი და დაავალეს წინასწარ წაგებულ თამაშში შესვლა.

პირველი დავალება იყო, რომ 43%-ს დაახლოებულიყო „ქართული ოცნება“, ახლა ეს 43% აღარ არსებობს, რადგან ანულირებულია შარლ მიშელის შეთანხმება, ახლა მეორე დავალება აქვს – იქნებ მელია გადაიყვანოს მეორე ტურში. მისი დავალებაა, რომ რაღაცნაირად ხელი შეუწყოს რადიკალური ოპოზიციის განზრახვას ქვეყნის არევის კუთხით, მაგრამ ხაზს ვუსვამ, რომ სააკაშვილისგან და მელიასგან ის დავალებებს არ იღებს, – განაცხადა კობახიძემ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილმა საკუთარ თავს არჩევანი აღარ დაუტოვა“

## სოსო ცინცაძე: „საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს უფრო დაეჯერება თუ ავსტრიის ნებისმიერ კლინიკას?!“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, ირაკლი კობახიძისთვის გაუგებარია, რაში სჭირდება ამ არჩევნებში ყოფილ პრემიერს ბრინჯაოს მედალი. ის კალაძის დამაჯერებელ გამარჯვებაზე საუბრობს. რამდენად რეალურია მეორე ტური?***

– სავსებით რეალურია. ძალიან აჭრილი სიტუაციაა. მხოლოდ კომპრომატებსა და ერთმანეთის ლანძღვა-გინებას არ ვგულისხმობ. ნარკომანიის დაბრალება ახალია, მაგრამ კითხვა ჩნდება, საქართველოს ექსპერტიზის ბიუროს უფრო დაეჯერება თუ ავსტრიის ნებისმიერ კლინიკას?! 100-დან 99 დარწმუნებული ვარ გიპასუხებთ, რომ ავსტრიისას. მაშინ კობახიძემ საზოგადოებას ისიც უნდა აუხსნას, ნარკომანი კაცი როგორ ჰყავდათ პრემიერად ან დღეში ასჯერ რომ ხვდებოდა, ერთხელ მაინც ვერაფერი შეატყო?! ნარკომანობა კუჭის წყლული ხომ არ არის, რომ ვერაფერი შეემჩნია?!

თუმცა, აქ უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ მგონია: რამდენად იმუშავებს გახარიას ეს დაჩაგრულისა და დევნილის სტატუსი არჩევნებზე?! მოუტანს რამეს კი?! საერთოდ, ხომ იცით, საზოგადოება დაჩაგრულის მხარეს არის. ასეთია ადამიანის ბუნება. პოლიტიკაში არის ასეთი მაგალითები. ლებედი კრასნოიარსკის მხარის გუბერნატორო სწორედ იმიტომ გახდა, რომ ხელისუფლება დევნიდა. არჩევნებში მონაწილე პირის დევნა ხელისუფლების მიერ რაღაც დამატებით შარმს იძლევა. ძალიან მაინტერესებს, ეს შარმი ექნება ამჯერად გახარიას?! ხომ ძალიან აშკარაა, რომ ნარკომანობა მართლაც დააბრალეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან მომავალი საფრთხე დაინახა „ოცნებამ“. ხოლო რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ ავსტრიაში ეს კლინიკა სერიოზულ შარში გაეხვევა, ხომ უნდა მიხვდე, რომ ასეთი კლინიკა ვერ იფუნქციონირებს და გაკოტრდება.

***– სერიოზულ კონკურენტად არის აღქმული?***

– რა თქმა უნდა! გახარიას მხრიდან „ქართულ ოცნებას“ ძალიან არასასიამოვნო სიურპრიზი ელის. თუმცა, გაუგებარია, ამ შანსს რატომ არ იყენებს ოპოზიცია, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობა“. „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ ხვდება ჯერ კიდევ ძველი რომაელების დროინდელ პრინციპს, რომელიც უსათუოდ მოქმედებს: ჩემი მტრის მტერი, ჩემი მოკავშირეა. ამასწინათ, თინა ბოკუჩავამ ისე გააკრიტიკა გახარიას გუნდი, ასე „ოცნებას“ არ აკრიტიკებენ. შთაბეჭდილება რჩება, რომ ძალიან შორს არიან პოლიტტექნოლოგიის ელემენტარული ცოდნიდან. გახარიას მოწონებასა და ქება-დიდებაზე არავინ საუბრობს, საარჩევნო ტექნოლოგიაზეა საუბარი, ტაქტიკაზეა საუბარი. ამ შანსის გამოყენებაზეა საუბარი. თუ იმის ეშინიათ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხმები არ წაიღოს გახარიამ ან საერთოდ არ ჩაგვანაცვლოს, მაშინ ელემენტარული – ანგარიში არ სცოდნიათ. არავინ ეუბნება, გახარია აქონ. აკრიტიკონ, მაგრამ ბალანსია საჭირო, რომ მიზანს საფრთხე არ დაემუქროს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოპოზიციის მხრიდან ელემენტარულის გაცნობიერებაა საჭირო. გახარია ასუსტებს მათ მთავარ მტერს. ოპოზიციის ასეთი წინდაუხედავი ტაქტიკა გარანტიას იძლევა არჩევნებში „ოცნების“ გამარჯვების. თუ გახარია დასუსტდა, ის იმდენს ხმას ველარ წაართმევს „ქართულ ოცნებას“, რომ 43% ვერ გადალახოს.

***– მიუხედავად იმისა, რომ „ოცნება“ გავიდა შეთანხმებიდან, 43% მაინც მნიშვნელოვნად რჩება?***

– გასაგებია, რომ არავითარი სამართლებრივი ძალა მას არ აქვს, მაგრამ 43% მორალურ პრინციპად იქცა. 43% რუბიკონად იქცა. „ქართული ოცნების“ სტრატეგიული შეცდომა იყო მიშელის ხელშეკრულებიდან გამოსვლა. თან, იმ ტექსტით, რაც გააკეთეს, გავაუქმეთო! როგორ გააუქმებ, როდესაც შენ გარდა 28 ევროპული სახელმწიფოს წარმომადგენელი, ამერიკა და ბოლოსდაბოლოს არჩევნებში მონაწილე ოპოზიცია აწერს ხელს. გამოსვლა შეგიძლია, მაგრამ გაუქმება, არა. გამოსვლაზე კი პოლიტიკური პასუხი უნდა აგო.

***– დავუშვათ ვერ გადალახა „ოცნებამ“ 43%, მერე რა ხდება?***

– შეიძლება ძალიან დიდი პროტესტი მოჰყვეს. მერე უკვე ყველაფერი დამოკიდებული იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ და დანარჩენი ოპოზიციის საერთო ტაქტიკაზე. თუმცა, არსებობს კი ასეთი გაწერილი გეგმა, ვერ გეტყვით. სიმართლე გითხრათ, ოპოზიციას მსგავსს ვერაფერს ვატყობ.

***– ქვეცნობიერად 43% მაინც მუშაობს?***

– მუშაობს. გარდა ამისა, ევროპის თვალში მუშაობს. კიდევ ერთი, თუ ოდესმე დასჭირვებია „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბება, ახლა სჭირდება, მაგრამ, წავა კი?! ამ სისხლიან ბილბორდებს რომ ვუყურებ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერზე წავა. ამ სისხლიანი ბანერებიდან ჩანს, რომ „ოცნება“ ძალიან ანერვიულებული მიდის არჩევნებზე. თან ხომ ვიცით, რა დროს იყენებენ ამ ბანერებს?! როდესაც ძალიან უჭირთ. ამაში კი გახარიას წვლილი დიდია. „ოცნებას“ გახარიამ სულ აუჭრა კარტები. ხელისუფლება დღეს უფრო მეტად ებრძვის გახარიას, ვიდრე მელიასა და სააკაშვილს. შეუძლებელია ამ ბილბორდებმა იმუშაოს. ასეთი სვლა „ოცნებას“ გარანტირებულად უქადის დიდ ანტიპათიას. ერთადერთი, ვისზეც იმუშავებს, „ოცნების“ ის ამომრჩეველია, რომელსაც გახარიას ნარკომანობა



**„თუ ოდესმე დასჭირვებია „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბება, ახლა სჭირდება, მაგრამ წავა კი?!“**

მართლა სჯერა. მათ გაეროს ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტიც რომ წარუდგინო, გახარია არ არის ნარკომანი, ამას ვერ დაიჯერებენ.

ასევე, ამ არჩევნებში ამოუხსნელ, მრავალუცნობიან განტოლებად რჩება სააკაშვილის ფაქტორი. ის უნდა ჩამოვიდეს, სხვა გზა აღარ აქვს. სააკაშვილმა საკუთარ თავს არჩევანი აღარ დაუტოვა.

ერთი, რაც დანამდვილებით შემიძლია დღეს გითხრათ, ეს ის არჩევნებია, სადაც ბევრი ინტრიგაა.

# მეუფე სტეფანემ პეტრე ცაავას მომხრე სასულიერო პირები ეკლესიიდან განკვეთა

ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე სტეფანემ, 6 სასულიერო პირი სამონაზვნე და სასულიერო დასიდან სრულად განკვეთა.

მისივე გადაწყვეტილებით, მათ საეკლესიო სამოსის ტარებაც ეკრძალებათ.

როგორც მან წირვის შემდეგ, ქადაგების დროს, მრევლს უთხრა, პეტრე ცაავას მხარდამჭერი სასულიერო პირები არღვევდნენ საეკლესიო კანონებს, აქეზებდნენ სხვა პირებს და ეწინააღმდეგებოდნენ პატრიარქს, რითიც ცდილობდნენ ეკლესიაში შუღლის შეტანას.

მეუფე სტეფანეს თქმით, განკვეთილმა სასულიერო პირებმა კელიები უნდა დატოვონ და საერო ცხოვრებას დაუბრუნდნენ.

მეუფე სტეფანეს მიერ განკვეთილი ბერ-მონაზვნები ეპარქიის დატოვებას არ აპირებენ.

მათი თქმით, ჭყონდიდის მიტროპოლიტის გადაწყვეტილება უკანონოა და მას არ დაემორჩილებიან.

– ვის უნდა დავუტოვო მონასტერი, არაკაცებს? მატყუარებს უნდა დავუტოვო მონასტერი? სანამ ცოცხალი ვიქნები, უკან არ გადავდგამ ნაბიჯს, – განაცხადა განკვეთილმა ბერმა, მამა ათინოგენმა.

# დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი: „დეპუტატ დავით ჭიჭინაძეს ნამდვილად ვთხოვე იარაღის ტარების გაფორმებაში დახმარება“



დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი „ტვ პირველთან“ ადასტურებს, რომ ის ნამდვილად სთხოვდა დეპუტატ დავით ჭიჭინაძეს იარაღის ტარების უფლების მოსაპოვებლად მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის დაერეკა. დეკანოზი ამბობს, რომ იარაღის ტარების უფლება თავდაცვის მიზნით უნდოდა. სამების ტაძრის დეკანოზი განმარტავს, რომ ის წარსულში არაერთხელ გამხდარა თავდასხმის ობიექტი.

ხარაზიშვილი ასევე ადასტურებს, რომ ის უკანონო მიყურადების სამიზნე იყო სუს-ის მხრიდან და დოკუმენტში აღწერილი საუბარი მასა და დავით ჭიჭინაძეს შორის ნამდვილია.

– 2016 წელს ნამდვილად ვთხოვე ბატონ დავით ჭიჭინაძეს, რიგში რომ არ ვმდგარიყავი, დამხმარებოდა, ვინაიდან დოკუმენტს ერთი თვით ადრე ვადა ჰქონდა გასული, – ამბობს „ტვ პირველთან“ დეკანოზი.

ფაილებით დგინდება, რომ სასულიერო პირი იარაღის გაფორმებას 2016 წელს ითხოვდა. სასულიერო პირი იარაღის ტარების უფლების მოსაპოვებლად ჭიჭინაძეს გიორგი მღებრიშვილთან დაკავშირებას სთხოვდა, რომელიც იმ დროისთვის შს მინისტრის პოსტს იკავებდა.

საუბრის ნამდვილობა ასევე დაადასტურა დავით ჭიჭინაძემ.

# „თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობის 60% არ აიცრება“

## სერგო ჩიხლაძე: „მეხუთე ტალღა იქნება, მაგრამ, სავარაუდოდ, უფრო შემოდგომის ბოლოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ჯანდაცვის საკითხებში სერგო ჩიხლაძე პასუხობს.**

***– ბატონო სერგო, როგორ აფასებთ ქვეყანაში არსებულ პანდემიურ სიტუაციას? ჯერ მეოთხე ტალღას ვერ გავუმკლავდით და ჯანდაცვის მესვეურნი უკვე მეხუთე ტალღას გვიანონსებენ. რამდენად მზად არის ჯანდაცვა ახალი ტალღისთვის და რა მოლოდინები გაქვთ? მით უმეტეს, რომ ჯერ ისევ მაღალია გარდაცვალების და დაინფიცირებულთა რიცხვი.***

– გარდაცვალების მაჩვენებლით, ახალი ინფიცირების მაჩვენებლით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, არა თუ მაღალი იყო, არამედ პირველ ადგილზე ვიყავით მსოფლიოში სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით. ახლაც თუ შევხედავთ, „მოწინავე“ ადგილებზე ვართ, ზოგადი მაჩვენებლითაც. ეს ნიშნავს იმას, რომ საკმაოდ წარუმატებელი იყო ხელისუფლების და ჯანდაცვის სამინისტროს ქმედებები. მოუმზადებელი შევხვდით ამ ტალღასაც, წინა ტალღასაც და ასეთი მიდგომებით მოუმზადებელი შევხვდებით შემდეგ ტალღასაც. ერთადერთი შველა და იმედი არის, რომ ვაქცინაციის პროცესი წავა წარმატებით, იქნებ ავცრათ ზრდასრული მოსახლეობის 60%, თუმცა, აქაც შეფერხებაა. ერთი, რომ გვიან დაიწყო, არ იყო კამპანია და ა.შ. რაღაც პერიოდი გაიზარდა აცრების მაჩვენებელი, თუმცა დღეს ვხედავთ, რომ ისევ იკლებს და განსაკუთრებით იკლებს პირველ ჯერზე აცრილების რაოდენობა. ასე რომ, ის 60%, წლის ბოლომდე რომ უნდა ავცრათ, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ არის.

***– იყო ერთი პერიოდი, 30 ათასზეც ავიდა აცრის მაჩვენებელი და ასე საგრძნობლად რატომ იკლო?***

– კი, იყო, თავიდან დიდი ოდენობით ადამიანი დარეგისტრირდა, აიცრა პირველად და ახლა ეს ადამიანები იცრებიან მეორე ჯერზე, სწორედ ამათ ხარჯზეა აცრის მაღალი მაჩვენებელი, ისე კი, ვაქცინაციის პროცესმა საგრძნობლად დაიკლო. ესეც სწორედ სახელმწიფოს დამსახურებაა, უფრო ზუსტად, ბრალეულობა.

***– არ არის შესაბამისი კამპანია? ძალიან ბევრს ლატარიაც არ მოეწონა და არაეფექტურ ნაბიჯად ჩაუთვალა სახელმწიფოს. ეს უფრო მეტ უნდობლობას გამოიწვევსო. ასეა?***

– ჯერ ერთი, ვაქცინა ძალიან გვიან შემოიტანეს, იცოდნენ, რომ ასე იქნებოდა და სპეციალურად არ აწარმოეს კამპანია. კამპანია რომ ეწარმოებინათ, ვაქცინაც უნდა ჰქონოდათ. ამიტომ მიზანმიმართულად არ აწარმოეს ეს კამპანია. დაგვიანებით დაიწყეს კამპანია, რამდენიმე ბანერი ჩამოკიდეს და ისიც, შევხედეთ გუშინ, რომ ამ ბანერებზე სისხლიანი ბანერები გადააკრეს.



აი სწორედ ეს არის „ქართული ოცნების“ რეალური სახე და პრიორიტეტები. არც ჯანმრთელობაა მათთვის პრიორიტეტი, არც ვაქცინაცია, არც კოვიდის დამარცხება, მარტო სიძულვილის გაღვივება, სამოქალაქო დაპირისპირება და ვიწრო პარტიული ინტერესი. ასეთი მიდგომებით, რა თქმა უნდა, შემდეგ ტალღებსაც შევხვდებით ყოველთვის ძალიან მოუმზადებლები.

***– ბანერებთან დაკავშირებით ჯანდაცვამ გააკეთა განცხადება და ემიჯნება ამ პროცესს.***

– კი, ასეა და ძალიან კარგი. ვნახე ეს განცხადება და ძალიან კარგი და სწორი განცხადება იყო, რომ ემიჯნება ამას. როგორ შეიძლება ადამიანის სიცოცხლეზე მიმართულ ბანერებზე, კოვიდის ბანერზე, რომელიც რეალურად დადებით როლს ასრულებს მოსახლეობისთვის, ამაზე გადააკრა სიძულვილის შემცველი ბანერები. ეს არის ყოვლად დაუშვებელი. ეს არის რეალური სახე დღევანდელი ხელისუფლების.

***– ხელისუფლებას აქვს მოლოდინი, რომ დღიური მაჩვენებელი დავა 4%-ზე და 4 ოქტომბრიდან გახსნიან სკოლებს და უმაღლეს სასწავლებლებს.***

– სკოლები აუცილებლად უნდა გაიხსნას!

***– იმ ფონზე, როდესაც აცრის მაჩვენებელმა იკლო, წინ არჩევნებია, ველოდებით მეხუთე ტალღას, გაქვთ იმედი, რომ ჩამოიწევს მაჩვენებელი?***

– კი, მეხუთე ტალღა იქნება, მაგრამ, სავარაუდოდ, უფრო შემოდგომის ბოლოს. ამ ტალღებს რაც შეეხება, ეს არის აღმავალი, დაღმავალი, ეს ვირუსის თავისებურებაა, აქვს პიკები, იკლებს, იმატებს, ეს ბუნებრივი მიმდინარეობაა. ცუდი მართვის გამო ჩვენთან ეს პიკი მაღალი და ხანგრძლივი იყო, რაც უკვე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. აქედან გამომდინარე, ეს ბუნებრივი მიმდინარეობაა, თუმცა ვიმეორებ, რომ ყველაზე გვიან უნდა დაიკეტოს სკოლები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი. მეტსაც გეტყვით, მეოთხე ტალღის პირობებში, არც ერთი ქვეყანა, არც სკოლას კეტავს, არც საზოგადოებრივ ტრანსპორტს აჩერებს. პირველი ტალღის დროსაც კი არ დაუკეტავს ქვეყნების უმრავლესობას. მეოთხე ტალღის დროს, როცა მხოლოდ ამაზე ხარ დამოკიდებული და ასეთ გადაწყვეტილებას იღებ, ეს ნიშნავს, რომ სრული კატასტროფა გაქვს.

***– ცუდი მართვის ბრალია ეს ყველაფერი?***

– დიახ, ეს არის ცუდი მართვის ბრალი. არაკომპეტენტური მართვის და ასევე, გულგრილობის ბრალი, ამას ვაცხადებ პირდაპირ და ამაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა უნდა აიღონ მმართველმა ძალამ და ჯანდაცვის მინისტრმა.

***– იმ ფონზე, როდესაც გარდაცვალების რიცხვი მაღალია, მძიმე პაციენტების რიცხვი მაღალია, თითქოს იკლო ყოველდღიურად დაინფიცირებულთა მაჩვენებელმა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ტესტირებასაც აღარ იტარებს ხალხი? როდესაც საუბარია იმაზე, რომ ფასიანი გახდება ტესტირება, ეს უფრო სავალალო შედეგს ხომ არ მოგვცემს?***

– ფასიანი ყოვლად დაუშვებელია. 18 თვეა ვსაუბრობთ, რომ პირიქით, მასობრივი ტესტირებაა საჭირო. რა მასობრივი, ჩვენ ვხედავთ, რომ 40 ათასზე ძლივს ავიდა და მეტს ვერ ავცდით. ბოლო პერიოდში 30-40 ათასის ფარგლებში ვტრიალებთ, რაც ძალიან დაბალია. ეს არ არის საკმარისი, მასობრივი ტესტირება ნიშნავს, რომ 50 ათასზე მეტი იყოს ყოველდღიურად, 80 ათასამდე მაინც ტეტირების მაჩვენებელი. ზოგადად ინფიცირების შემთხვევები იკლებს, ეს ვირუსის აღმავალ-დაღმავალი პიკებია და ბუნებრივად ასე ხდება ხოლმე. შემდეგი ტალღის პირობებში კვლავ თუ ასეთი მოუმზადებელი შევხვდებით, კიდევ ბევრ და ისეთ სიცოცხლეს დავკარგავთ, რომელიც სწორი მართვის და მომზადების პირობებში არ უნდა იკარგებოდეს. აი ამაზეა საუბარი, თორემ გარდაცვალების ერთეული შემთხვევები შესაძლებელია ყველგან იყოს, მაგრამ არა ამ რაოდენობის. მსოფლიოში აღარ არის ეს მაჩვენებელი. ოთხჯერ და ხუთჯერ მაღლა ვართ, ვიდრე ჩვენი დონის სხვა რომელიმე ქვეყანა, განვითარებულ ქვეყნებზე აღარაფერს ვამბობ.

***– და ეს რისი ბრალია? არ იციან, როგორ მართონ?***

– ეს ყველაფერი ცუდი მართვის ბრალია და ცუდი მენეჯმენტის. ასევე, არასწორი დაგეგმარება, არასწორი პრიორიტეტები და გულგრილობა. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ მარაგში არ გვაქვს მედიკამენტები, პაციენტის მართვის ალგორითმები არ არის გამართული. პირველადი ჯანდაცვა, რომელიც პრობლემური იყო, კიდევ უფრო პრობლემური გახდა. მთელი 18 თვე გავიდა და ჩვენ ისევ ტესტირებაზე ვსაუბრობთ. 6 თვით გვიან დაწყებული ვაქცინაცია, ცუდად წარმოებული და გვიან დაწყებული საინფორმა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „რუსეთს თუ დასჭირდება, ივანიშვილი, გახარია და ინაშვილი გაერთიანდებიან“

## შოთა მალაშხია: „ადამიანებმა იმათ არ უნდა დაუჯერონ, ვინც ხშირად გამოერჭობიან ტელევიზორში და ცრუ დაპირებებით აავსებენ. უნდა აირჩიონ ის, ვინც რუსეთისკენ არ მიდის და რეალურ დაპირებებს იძლევა“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, შოთა მალაშხიას.



***– როცა გახარიამ თანამდებობა და მმართველი პარტია დატოვა, თქვენ ვარაუდობდით, რომ „ოცნება“ და გახარია ერთმანეთს კომპრომატებით შეებრძოლებოდნენ. გამოქვეყნებული საიდუმლო ჩანაწერები შინაარსით სხვადასხვაა. ხელისუფლება ფარული ფაილების გამომზეურებაში ყველაზე ხშირად გახარიას და მის გარემოცვას ადანაშაულებს. ამაზე რას ფიქრობთ?***

– დავიწყებ იმით, რომ „ოცნების“ ხელისუფლება კეთროვანი გახდა როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ისე საერთაშორისო საზოგადოებისთვის. ორივე ეს ფრთა – „ოცნებაც“ და გახარიას პარტიაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ორივეს უკან რუსეთი დგას და ორივე აწონებს თავს რუსეთს.

***– მათ ერთმანეთში მწვავე კონკურენცია აქვთ?***

– ორივე ერთი ბუნების ძალაა, ორივეს მიუძღვის ბრალი, ქვეყანა რომ ამ მდგომარეობაშია. ამასთან, ისინი ამ მომენტში ერთმანეთის მეტოქეებიც არიან. როცა გადავიღე დოკუმენტური ფილმი 2018 წლის არჩევნების გაყალბებაზე, მაშინ ვთქვი, რუსეთი მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ დაეყრდნობოდა. მართლაც, რუსეთი 2018 წლის შემდეგ ფსონს სხვებზეც დებს. გახარიას შეაქმნევინეს პარტია. კრემლის პარტიებს ერთმანეთში კონკურენცია აქვთ იმაზე, თუ ვინ ვინ უფრო ერთგული მონა იქნება. რუსეთსაც სჭირდება ამ მომენტში ეს კონკურენცია და ხმების მობილიზება. არჩევნების შემდეგ, თუ მოსკოვის სურვილი იქნება, შეიძლება ორ-სამ ძალას კოალიციაც ჩამოაყალიბებინოს.

***– ანუ, უმრავლესობა საკრებულოებში?***

– ახლა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია და ეს გეგმა ექნებათ. როცა რუსეთს დასჭირდება, ივანიშვილი, გახარია და ინაშვილი გაერთიანდებიან. ეს არის რუსეთისა და მისი დამქაშების გეგმებში. რეალობა სხვაა.

***– შეაფასეთ რეალობა.***

– ამ მომენტში საზოგადოება შეძრულია ფარული ჩანაწერებით. ამაში ივანიშვილის ბრალიცაა, გახარიასიც, კობახიძისა და სხვებისაც. აქ იკვეთება ივანიშვილის მანიაკალური არაჯანსაღი მიდრეკილებები. მისი ინტერესია, ყველას უსმინოს და მერე ყველაზე იჭორაოს.

***– წინა ხელისუფლებაც არ გვაკლებდა საზოგადოებას უკანონო მოსმენებს, თვალთვალს და შესაბამისი ჩანაწერების შენახვას.***

– წინა ხელისუფლება ამას გადაჰყვა კიდეც. კაცი, ვისი სახელითაც გავრცელდა ფაილები და რომელმაც თავი მოიკლა, ამბობს, რომ ამ ხელისუფლებამ მოსმენები გაააათასმაგა. მოსმენები ათასჯერ გაიზარდა ივანიშვილის ხელში. მარტო ეს ხომ არ აწუხებს ხალხს! ნახეთ, რა უქნა ისედაც სუსტ ეკონომიკას, ჯანდაცვას, საქართველოს საგარეო იმიჯს?! ამდენი ხალხი რომ დაიხოცა კორონავირუსით, ამდენი რომ გაღატაკდა, ეს ხელისუფლების ბრალი არ არის?! ივანიშვილმა თავზე დაგვასვა არაკომპეტენტური და სრულიად უვიცი პირები. კარგად ვიცით, რომელი მინისტრი მოვიდა მისი უშუალო გარემოცვიდან და რამდენი რამ გააფუჭა. ჩემს ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმში 2017 წელს ვპროგნოზირებდი, რომ ივანიშვილი ყველაფერს მოსპობდა, ანაკონდა შემოხვეოდა პარლამენტს, მთავრობას, სხვა შტოებს და მოგუდავდა. ახლა იმ სტადიაზე ვართ, რომ მოგუდვა უკვე დამთავრებულია. ივანიშვილმა სახელმწიფო წაგვართვა. წინა ხელისუფლების დროს იყო შეცდომები. ის ხელისუფლება მათზე უფრო სალად რეაგირებდა. ესენი ყველას უსმენენ – დიპლომატებს, სკოლების დირექტორებს, არასამთავრობო სექტორს, ჟურნალისტებს. იმის მაგივრად, რომ ლილუაშვილი მაინც გაეშვათ თანამდებობიდან, სასაცილო განცხადებებს აკეთებენ.

***– კერძოდ?***

– ჯერ ყველაფერი ნაციონალურ მოძრაობას დააბრალეს და ძველი ფაილები გაიხსენეს. მერე მიხვდნენ, რომ ჩანაწერები მოიცავს 2014-21 წლებს და ისრები გახარიაზე გადმოიტანეს. ამაზე პასუხისმგებლობა გახარიასაც მიუძღვის, მაგრამ ახლანდელი ხელისუფლება რომ იცილებს პასუხისმგებლობას, ესაა უცნაური. რუსეთში ხდება ოპონენტების დევნა, მოსმენებიც გამოიყენება, მაგრამ ესენი თავისი ავადმყოფური მიდრეკილებებით პუტინსაც გასცდნენ. ამ ხელისუფლებასა და „ოცნებაში“ ხშირად საუბრობენ ჟარგონებით და საქმეებს ქურდულად არჩევენ. მათი ტერმინები რომ გამოვიყენოთ, უფრო სალად რომ აზროვნებდნენ, ეტყოდნენ ლილუაშვილს – გადი, ძმაო, დროებით გაიწიეო. ლილუაშვილიც კი არ გაუშვეს თანამდებობიდან. არადა, დიდ დანაშაულთან გვაქვს საქმე, რაზედაც საჭიროა სამართლებრივი რეაგირება. რატომ არ უნდა ჰქონდეთ ჩივილის უფლება იმათ, ვისაც უსმენდნენ?!

***– წარსულში ამბობთ. ახლა რამე შეიცვლებოდა?***

– არა, არა. ახლაც იგივე გრძელდება. ხელისუფლების უტიფარი განცხადებებიც იმას მოწმობს, რომ ესენი არაფერს ცვლიან.

***– გავრცელდა რამდენიმე კომენტარი, სადაც ნათქვამია, რომ მომხდარი არ იქონიებს გავლენას არჩევნების შედეგზე.***

– ამას ივანიშვილის მიერ დაფინანსებული ვითომ ექსპერტები იტყოდნენ. ალბათ, მაგათგან მოდის ეს სისულელე. წინა ხელისუფლება თუ გადაყვა მსგავს რამეს, ამას ხმებიც არ უნდა მოაკლდეს?! ამაში ლოგიკა არ არის. „ოცნებამაც“ უნდა გადაიხადოს.

***– ვადამდელი არჩევნები გარდაუვალია?***

– დიახ. ადგილობრივ და რიგგარეშე არჩევნებზე საზოგადოებამ გამჭრიახობა უნდა გამოიჩინოს. ამ ვადამდელ არჩევნებზე ყველაზე სერიოზული არჩევანი კეთდება დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში. ჩვენმა საზოგადოებამ ბევრი გადაიტანა და შეცდომებიც დაუშვა. ასეთი შეცდომა და დანაშაული იყო ეროვნული ხელისუფლების დამხობა. გავიდა დრო და იმდროინდელი ამბების გამო ბევრმა ბოდიში მოიხადა. ესეც კარგია, მაგრამ ბოდიშით სახელმწიფო ფეხზე ვერ დადგება და წინ ვერ წავა. ბიძინას მოყვანაც შეცდომა იყო. ამიტომ, ხალხმა უნდა გააკეთოს გააზრებული არჩევანი. ჯერ ადგილობრივი არჩევნებია, რომელიც ფაქტობრივად რეფერენდუმს წარმოადგენს. მალე მოვა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები და საზოგადოებამ შეცდომა არ უნდა გაიმეოროს. ადამიანებმა იმათ არ უნდა დაუჯერონ, ვინც ხშირად გამოერჭობიან ტელევიზორში და ცრუ დაპირებებით აავსებენ. უნდა აირჩიონ ის, ვინც რუსეთისკენ არ მიდის და რეალურ დაპირებებს იძლევა.

***– არარეალური დაპირებები ბევრი პოლიტიკოსის ატრიბუტია.***

– თუ პოლიტიკოსი რაღაცას ვერ ასრულებს, უნდა გამოვიდეს და ახსნას, რატომ ვერ მოხდა ეს. თუ შეუძლია, მომავლისთვის გადადოს ეს დაპირება. სამწუხაროდ, არ არის საქმე კარგად საპატრიარქოში. ეკლესიისა და ტრადიციების დამცველი ვარ, მაგრამ იქაც წესრიგია დასამყარებელი. თუ სასულიერო პირი ქალებთან მრუშობს ან მამათმავლობს, ამას ეკლესიამ თვითონ უნდა მიხედოს. თუ საქმე ეხება სამშობლოს ღალატს და პედოფილიას, ეს უმძიმესი დანაშაულებია და სახელმწიფომ კანონის მიხედვით უნდა იმოქმედოს. ამ ხელისუფლებას ეს არ აწყობს. ურჩევნია, ბინძური დანაშაულები დაარქივოს, რომ კომპრომეტირებულები შემდეგ არჩევნების დროს გამოიყენოს. ესაა უბედურება. ეს არის რუსული მეთოდები და რუსული კალკი.

# ღარიბაშვილი: „გახარიამ 20 ივნისს უდანაშაულო ხალხს თვალები დასთხარა“

საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი წინამორბედს, გიორგი გახარიას, ღიად უპირისპირდება.

ღარიბაშვილმა ღია ეთერში გიორგი გახარიას წინააღმდეგ სატელევიზიო ჩვენება მისცა და ყოფილი პრემიერი 20 ივნისის სისხლიან ღამის მოწყობაში დაადანაშაულა.



– დამწყები სპეცრაზმელი ამას აუხსნის ძალიან დეტალურად ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს – პარლამენტის შენობა ისეა დაცული დღეს, ჭიშკარი ისეა, გამორიცხულია, რომ შეანგრიო და შეხვიდე, გამორიცხულია, ადამიანებს ვგულისხმობ. მე ეს კითხვა მას დავუსვი, როცა იყო ამ კრიზისის შეფასება და გარჩევა.

რატომ გამოიყვანეს გარეთ სპეცრაზმელები, რატომ აცემინეს 3 საათის განმავლობაში ამ აგრესიულ ბრბოს, ნაცმოძრაობას, და ჩამოშლის პირას მიიყვანეს სახელმწიფო. მაშინ ყველა გაგიჟებული ვიყავით. მე პარტიის ოფისში ვიყავი ღამით, ყველანი. ვკითხულობდით, სად არის წყალი, გაზი, დაუშინეს შემდეგ და, მათ შორის, უდანაშაულო ადამიანებს თვალები დასთხარეს.

ეს არის მისი ხელწერა და ეს არის მისი მართვა, – განაცხადა ღარიბაშვილმა „რუსთავი 2“-თან.

# გახარია: „შეშინებული ღარიბაშვილი რაღაცას ბოდიალობს“



– რა დესტრუქცია, რის დესტრუქცია? ეს როგორ წარმოგიდგენიათ, ხალხო? შეშინებული, ფანტაზიაზე გადასული ქვეყნის პირველი პირი რაღაცას ბოდიალობს.

ამის შესახებ პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერმა გიორგი გახარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რითაც გამოეხმაურა ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ, შესაძლოა, მისი პარტია არჩევნების შემდეგ პარლამენტიდან გავიდეს და დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად „დესტრუქციულ ქმედებაში“ მიიღოს მონაწილეობა.

გახარიას განმარტებით, ასევე მიუღებელია ღარიბაშვილის მიერ 2019 წლის 20 ივნისის მოვლენების შეფასება.

– ის ასე საუბრობს პოლიციელებზე – ადამიანებზე, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს იცავენ. ის გაჭედილია, რადგან ვერ გაუგია, ორი დღის წინ ფეხებს აბაკუნებდა, რომ თურმე, არჩევნების შემდეგ ჩვენ ყველას დავსჯითო. სრული გაუგებრობაა. უბრალოდ, რასაც მე ვუყურებ, ეს ყველაფერი სახიფათოა, ამიტომ ყველამ წყნარად, მშვიდად უნდა გავაკეთოთ არჩევანი, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

მისი განმარტებით, მმართველ გუნდს არჩევნებში დამარცხების ეშინია.

– ამას მარტივი მიზეზი აქვს – ეს შიშის გამო ხდება. ისინი ხედავენ, რომ პარტია „საქართველოსთვის“ რეიტინგი ყოველდღიურად იზრდება, ხოლო მათი მცირდება. ეს პანიკა და არაადეკვატურად ქცევაა. ამას რეაქტიული ქმედება ჰქვია. სხვა დიაგნოზიც ჰქვია, მაგრამ ამჯერად ასე დავახასიათებ. ჩვენი გრაფიკიდან მაინც ვერ ამოგვაგდებენ. მე მაქვს ჩემი გეგმა და მას გავაგრძელებ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ სკვერს გააკეთებს, ფასადს შეღებავს და მერე მის სახელს მსხვილი ასოებით აზრად მიაკრავს, ეს ასე არ არის.

ქვეყნის მუშაობა ცოტა სხვა რამეა – დასაქმება, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი და რაც მთავარია – სამართლიანობის შეგრძნება და პირველადი საბაზისო ინფრასტრუქტურა ყველა ქალაქში თანაბრად უნდა იყოს გაკეთებული. მთავარი არის ეს – ადამიანებს უნდა ჰქონდეთ სამართლიანობის შეგრძნება, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

# „თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობის 60% არ აიცრება“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ციო კამპანია. ამ ყველაფრის თავი და თავი არის ცუდი მართვა, პროცესების ვერ გააზრება და ხელისუფლების მხრიდან ამ ყველაფრის პოლიტიკურ ჭრილში დანახვა.

***– ლატარეაზე რას ფიქრობთ? ზოგი ფიქრობს, რომ უბრალოდ ფულის მახეა ეს ყველაფერი. ასეა?***

– ლატარეა არ არის ის გადამწყვეტი ბერკეტი, რომ ამან მოსახლეობის გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს. ეს შეიძლება დამატებითი ფაქტორი იყოს მასტიმულირებელი, მამოტივირებელი. თუმცა ეს ვერ ითამაშებს იმ როლს, რომ ადამიანები მიაწყდნენ და აცრა გაიკეთონ. თავიდანვე სწორი დაგეგმარება რომ ყოფილიყო, ეს არ დაგვჭირდებოდა. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება, თუმცა ეს ვერ იქნება ფუნდამენტური ცვლილების მომტანი. სწორი კამპანია და სექტორული მუშაობაა საჭირო, რაც, სამწუხაროდ, დაგვიანდა და ზოგ შემთხვევაში სულ არ გაკეთებულა.

***– თქვენ მომხრე ხართ იმის, რომ 4 ოქტომბრიდან ვიქნებით თუ არა 4%-იან მაჩვენებელზე, სკოლები აუცილებლად უნდა გაიხსნას?***

– სკოლა აუცილებლად უნდა გაიხსნას. მთელ მსოფლიოში ასე იყო, ყველაზე ბოლოს სკოლა იკეტებოდა. ჩვენთან იმიტომ, რომ ხელისუფლებას არანაირი სხვა ბერკეტი და სწორი პოლიტიკა არ აქვს, პირველს გვიკეტავს სკოლას და საზოგადოებრივ ტრანსპორტს. აქედან გამომდინარე, ბოლო ორი წელია არასრულფასოვან განათლებას იღებენ ახალგაზრდები. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა აცრილი იყოს.

***– ბატონო სერგო, გასაგებია, რომ მეცნიერება ჯერ კიდევ ვერ დებს საბოლოო დასკვნებს კოვიდვირუსთან დაკავშირებით, დავობენ და არ არის სრული სურათი ამ ყველაფერთან დაკავშირებით. გასულ კვირას, ლევან რატიანის განცხადებას დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, სადაც ის საუბრობდა, რომ კოვიდგადატანილი პაციენტის იმუნიტეტი გაცილებით ძლიერია, ვიდრე აცრილისო. მან სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა. რამდენად სწორი იყო მისი განცხადება იმ ფონზე, როდესაც ასეთი დაბალი აცრის მაჩვენებელი გვაქვს? ცნობილი ექიმია და მას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივ აზრზე.***

– სწორად უნდა გავიგოთ ყველა მესიჯი. შესაძლოა გადატანილის იმუნიტეტი უფრო ძლიერია, მაგრამ ეს არ არის გზავნილი, რომ არ ავიცრათ. გადატანილი ნიშნავს, რომ დაგემართება, ან გადარჩები და ან არა. აქ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმაზე საუბარი, რომ არ აიცრა და დაელოდო, როდის გადაიტან. ეს არც რატიანს არ უთქვამს. ეს არასწორი გზავნილია და მე ეს ასე არ გამიგია. ეს შესაძლოა ფაქტია, მაგრამ ეს არ ცვლის იმ რეალობას, რომ უნდა ავიცრათ. თუ არ აიცრები, კოვიდი დაგემართება და რომ დაგემართება, ან გადარჩები და ან ვერა.

***– საზოგადოებაში სულ სხვაგვარი ინტერპრეტაცია მიიღო მისმა ნათქვამმა და ვირუსივით მოედო სოციალურ ქსელებს.***

– სამწუხაროდ, ცუდია, ასე რომ მოხდა. ამიტომ არის, რომ ჩვენ, სპეციალისტები, ვინც ვაქტიურობთ, ვისაც გვისმენს საზოგადოება, ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ და ყველა ჩვენი გზავნილი სწორად უნდა იყოს გაშვებული. მე დავწერე და დეტალებში შინაარსი არ გავშიფრე, მერე ამას ადამიანები სხვადასხვაგვარად იგებენ. ამიტომ კიდევ ერთხელ ყველა ჩემს კოლეგას მოვუწოდებ, რომ იყოს სწორი გზავნილები, კარგად გააზრებული და ფართო აუდიტორიაზე გათვლილი, რომ ინტერპრეტაციის საშუალებას არ იძლეოდეს.

***– ახალ მიუ შტამზე რას იტყვით? ჯერ ძალიან მწირი ინფორმაციაა, მაგრამ მაინც რამდენად მძიმე შეიძლება იყოს?***

– ეს ახალი შტამები მუდმივად ჩნდება და ამ მიუ შტამზეც ჯერ ბევრი არაფერია ცნობილი, მასიურადაც არ გავრცელებულა. მომავალი დაგვანახებს. დელტა შტამი ძალიან აგრესიული იყო, ყველა არ არის ასეთი აგრესიული. რა თქმა უნდა, კიდევ ახალი შტამიც იქნება, თუმცა ყველა ახალ შტამზე არ უნდა ავტეხოთ პანიკა. ეს ვაქცინები, არსებულ ყველა შტამზე კარგად მუშაობს. სავარაუდოდ, მომავალ შტამებზეც იმოქმედებს.

***– წლის ბოლომდე დათქმული 60%-იც თუ ვერ აიცრა, რამდენად მძიმე ზამთარი გველის?***

– ამ ტემპით თუ გაგრძელდა ვაქცინაცია, 60% ნამდვილად ეჭვის ქვეშ არის. თუმცა მაინც პოზიტიურ ნოტაზე მინდა დავასრულო, რომ ძალიან ბევრ ადამიანს დადასტურებულად გადატანილი აქვს ვირუსი, ბევრი აცრილია და ეს რაღაცა დოზით წაგვეშველება, რომ ისეთი მომცელავი ეფექტი არ ჰქონდეს შემდეგ ტალღებს. თუმცა, თუ ისევ ასეთი მოუმზადებლები შევხვდით, სამწუხაროდ, შესაძლოა კიდევ ბევრი პაციენტი დავკარგოთ.

# „ნიკო კვარაცხელია 20 წლის აკო ჭელიძემ მოკლა“

## პოლიციამ აკო ჭელიძესა და 21 წლის გიორგი კავილაძეზე ძებნა გამოაცხადა

შსს-ს ინფორმაციით, ვერაზე ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის ფაქტი გახსნილია.

პოლიცია 2 პირს – 20 წლის აკო ჭელიძეს და 21 წლის გიორგი კავილაძეს ეძებს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩაზე მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2000 წელს დაბადებული ა.ჭ. და 1999 წელს დაბადებული გ.კ., 1999 წელს დაბადებული ნ.კ.-ს მკვლელობის განზრახვით, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. კერძოდ, მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აღნიშნული პირები ნაქირავები ავტომანქანით თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მივიდნენ და ნ.კ.-ს ჩაუსაფრდნენ.

საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით, ასევე დადგინდა, რომ ა.ჭ.-მ ნ.კ.-ს მიმართ ცეცხლსასროლი იარაღიდან 10-ზე მეტი გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან გ.კ.-სთან ერთად, ნაქირავები ავტომანქანით მიიმალა. სხეულზე მიყენებული დაზიანებებით ნ.კ. საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. ა.ჭ.-ს და გ.კ.-ს ადგილსამყოფელის დადგენის და მათი დაკავების მიზნით ტარდება კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებები“ – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პროკურატურამ აკო ჭელიძისა და გიორგი კავილაძის მიმართ ბრალის წარდგენის თაობაზე დადგენილება გამოიტანა.

„ნ.კ.-ს ჯგუფურად განზრახ მკვლელობისთვის და ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა, შენახვა და ტარებისთვის, ორი პირის მიმართ გამოტანილია დადგენილება ბრალის წარდგენის თაობაზე და მიმდინარეობს შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ჭ.-მ და გ.კ.-მ ნ.კ.-ს მოკვლა განიზრახეს, რისთვისაც მათ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ასევე, 2021 წლის 14 სექტემბერს ნ.ბ.-სგან ავტომობილი იქირავეს.



15 სექტემბერს, ა.ჭ. და გ.კ. ვ.ანჯაფარიძის ქუჩა №1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მივიდნენ, სადაც პირად საქმეზე ნ.კ. იმყოფებოდა. დანაშაულებრივი განზრახვის, კერძოდ, ნ.კ.-ს ჯგუფურად განზრახ მოკვლის სისრულეში მოყვანის მიზნით, ავტომობილიდან გადასული ა.ჭ. ნ.კ.-ს დაბრუნებას დაელოდა, ხოლო მისი თანამზრახველი გ.კ. დარჩა ავტომობილის საჭესთან.

პირადი საქმის დასრულების შემდეგ ნ.კ. დაბრუნდა ავტომობილთან, რა დროსაც მას ზურგის მხრიდან შეიარაღებული ა.ჭ. მიუახლოვდა და განზრახ მოკვლის მიზნით, რამდენჯერმე ზურგში ესროლა. ნ.კ. თავდამსხმელისგან თავის დაღწევას ცდილობდა, მაგრამ ა.ჭ. დაედევნა და კვლავ განაგრძო სროლა მისი მიმართულებით, რა დროსაც მიაყენა სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე დაზიანებები. სროლის დასრულების შემდეგ, ა.ჭ. გაიქცა და გ.კ.-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით, თანამზრახველთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

ადგილზე შეკრებილმა ადამიანებმა ნ.კ. საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა, მიუხედავად გაწეული სამედიცინო დახმარებისა, მიღებული დაზიანებების შედეგად გ.კ. გარდაიცვალა. ა.ჭ.-ს და გ.კ.-ს, ამ ეტაპზე მოპოვებული მტკიცებულებებით, ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად) და 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა, ტარება ჩადენილი ჯგუფურად) დაუსწრებლად წარედგინებათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13 წლიდან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში .

18 სექტემბერს აკო ჭელიძეს და გიორგი კავილაძეს ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ.

ოფიციალური დადგენილება პროკურატურამ ბრალდებულების ადვოკატს გააცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ძებნაში მყოფი პირების უფლებადამცველი აცხადებს, ის საქმის მასალებს ჯერ არ გაცნობია, შესაბამისად, მომხდართან დაკავშირებით მისთვის დეტალები უცნობია.

– ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ და მასალების გადმოცემას ველოდები. ორივე მათგანს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა ჩადენილი ჯგუფურად) და 236-ე მუხლის მეექვსე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა და შენახვა, ტარება ჩადენილი ჯგუფურად) წარედგინა.

მასალებს რომ გადმომცემენ, დეტალები მერე მეცოდინება. ბრალდებულების ოჯახის წევრებს დავეკონტაქტები და გავიგებ, სურთ თუ არა საგამოძიებო მოქმედებებში რაიმე განმარტება გააკეთონ, – აცხადებს ადვოკატი.

„ამბების“ ინფორმაციით, აკო ჭელიძე გარდაბნის საკრებულოს ყოფილი წევრის ჯეირან ჭელიძის შვილია.

ჯეირან ჭელიძე გარდაბნის საკრებულოში ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე იყო.

მისი დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ჯეირან ჭელიძეს ჰყავს მეუღლე, 39 წლის თეკლე გავაშელიშვილი და 2 შვილი – 21 წლის ალეკო ჭელიძე და 14 წლის ლუკა ჭელიძე.

„შაბათის ეთერმა“ გიორგი კავილაძის მამა ჩაწერა. კონსტანტინე კავილაძე „ტვ პირველთან“ ადასტურებს, რომ მის საცხოვრებელ სახლში საპოლიციო ძალები იმყოფებოდნენ.

– პოლიცია აქაც იყო და შემდეგ იქაც დავიკითხე, – განაცხადა კონსტანტინე კავილაძემ.

# მეგის ქარდავა უკრაინამ საქართველოს გადმოსცა

## ის რუსთავის ციხეში გადაიყვანეს

8-წლიანი ძებნის შემდეგ, მეგის ქარდავა საქართველოს გადმოეცა. 17 სექტემბერს ის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში კიევი-თბილისის რეისით ჩამოიყვანეს.

როგორც სპეციალური პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკა ცხვარაშვილმა განაცხადა, უკრაინიდან ქარდავას ექსტრადირების პროცესმა დადგენილი წესებით და გართულებების გარეშე ჩაიარა.



– იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უკრაინის სახელმწიფოდან მეგის ქარდავას ექსტრადირება განახორციელა. ექსტრადირების პროცესმა დადგენილი წესებით, გართულებების გარეშე ჩაიარა. ამჟამად, მეგის ქარდავა შესახლებული იქნება რუსთავის №12 დაწესებულებაში, – განაცხადა ნიკა ცხვარაშვილმა.

„მომდევნო ეტაპზე წარიმართება კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები“ – ნათქვამია სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციაში.

მეგის ქარდავა რუსთავის №12 დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ყოფილი მაღალჩინოსნის ექსტრადირების საბოლოო გადაწყვეტილება უკრაინის სასამართლომ 13 სექტემბერს მიიღო.

2013 წლიდან საქართველოს მიერ ძებნილი მეგის ქარდავა უკრაინაში პირველად 2017 წელს ყალბი პასპორტებით დააკავეს. უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაციით, მას საქართველოს გარდა, უკრაინის, ლატვიისა და ბელიზის მოქალაქეობის დამადასტურებელი ფიქტიური მოწმობები ჰქონდა, სარგებლობდა ომარ ძანძავას სახელზე გაცემული პასპორტითაც.

ქარდავა უკრაინაში პოლიტიკურ თავშესაფარსაც ითხოვდა. 4-წლიანი პროცედურების შემდეგ ხელმეორედ დააკავეს, იუსტიციის სამინისტროს და კიევის სასამართლოს გადაწყვეტილებით ძებნილი მაღალჩინოსანი რამდენიმე დღის წინ საქართველოს გადმოეცა.

მეგის ქარდავა საქართველოდან 2012 წელს, ხელისუფლების ცვლილებისთანავე წავიდა. ამის შემდეგ, მას მძიმე ბრალდებები სისხლის სამართლის 11 საქმეზე წარედგინა, მათ შორის 5 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი დაუსწრებლად დადგა.

ნავთლუღის სპეცოპერაციის საქმეზე, პატიმრების წამების ეპიზოდზე, მეგის ქარდავას 7 წლით და 6 თვით პატიმრობა შეეფარდა.

გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2006 წლის ციხის ბუნტის საქმეზეც – მეგის ქარდავა ისევ პატიმრების მიმართ არაადამიანურ მოპყრობაში დამნაშავედ ცნეს და 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

იგივე სასჯელი მიესაჯა ქარდავას ზუგდიდის პოლიციაში ბელა როგავას დამამცირებელი მოპყრობის საქმეზე.

ე.წ. კასრების საქმეში წამებასა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე მეგის ქარდავას სასჯელი 9 წლით განესაზღვრა. 9 წელი მიესაჯა პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის წამებით გარდაცვალების საქმეზეც.

თბილისის საქალაქო სასამართლო მეგის ქარდავას წინააღმდეგ, 6 საქმეს ჯერ კიდევ განიხილავს.

სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, მეგის ქარდავა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ორჯერ დაჯილდოვდა, კონსტიტუციური წყობილების დაცვისთვის და სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისთვის.

# მებაჟე ოფიცრების მიერ არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა

მებაჟე ოფიცრების მიერ, არადეკლარირებული თანხის შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „თბილისის აეროპორტი“ და „ყაზბეგი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე, საქართველოსა და ჩინეთის მოქალაქეების ე.ჩ.-სა და ვ.ჩ.-ს ფიზიკური და კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული თანხა, ჯამში, 174.350 აშშ დოლარი და 107 830 არაბთა გაერთიანებული საამიროების დირჰამი გამოავლინეს.

არადეკლარირებული თანხის საერთო რაოდენობამ, ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით, 634.518 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეებს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა (არადეკლარირებული თანხის 10%-ის ოდენობით) ჯამში, 63.451,8 ლარი შეეფარდათ.

# პოლიციამ უცხოეთის მოქალაქე რ.ვ. ნარკოდანაშაულისთვის დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქე – 1988 წელს დაბადებული რ.ვ. ნარკოტიკული დანაშაულისთვის დააკავეს.



გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ჩართული იყო ინტერნეტით ნარკოტიკების რეალიზაციის სქემაში. კერძოდ, მან უკანონოდ შეძენილი ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“-ის შემცველი ნარკოტიკი, შემდგომი გასაღების მიზნით, ნაძალადევის რაიონში, სხვადასხვა ადგილზე განათავსა და მათი ადგილმდებარეობის ფოტოგადაღება განახორციელა.

სამართალდამცველებმა თბილისში, ბრალდებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ასევე, საგამოძიებო ექსპერიმენტისას, რ.ვ.-ის მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული, „ალფა პვპ“-ს შემცველი ნახევარ კილოზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერება ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ნანი კვარაცხელია: „ჩემს ძმას დანაშაული რომ ჰქონოდა, 5 შვილიან ოჯახს შუაგულ ქალაქში არ აცხოვრებდა“



ფიქრის გორაზე მოკლული 22 წლის ნიკო კვარაცხელიას ოჯახმა მედიასთან პირველი კომენტარი გააკეთა.

ნიკოს მამიდამ, ნანი კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ ნიკოს კრიმინალურ სამყაროსთან კავშირი არ ჰქონდა.

– ძალიან გთხოვთ, არ ისარგებლოთ ჩვენი ოჯახის ტრაგედიით, არ დამიმახინჯოთ ფაქტები, პატივი ეცით ნიკოს ხსოვნას. მადლიერი ვარ, ნიკოს რომ ასე მოიხსენიებთ. არ შეფუთოთ ეს კრიმინალური გარჩევით, არანაირი კავშირი ნიკოს ამ სამყაროსთან არ აქვს. ნუ აკიდებთ ცოდვებს ბავშვს, ჩემს ოჯახს.

ჩემს ძმას ამხელა დანაშაულები რომ ჰქონოდა, თავის ცოლ-შვილს შუაგულ ქალაქში 5 შვილით არ აცხოვრებდა. ჩვენ, მთელი ნათესავები ამდენი წელია აქ ვცხოვრობთ, არანაირი საფრთხე ჩვენ არავისგან არ გვიგრძნია. არავისი არასდროს შეგვშინებია, იმიტომ, რომ ღვთისა და ქვეყნის წინაშე მართლები ვიყავით. დაწყნარდება ეს სიტუაცია, გაირკვევა მტყუანმართალი, – განაცხადა ნიკო კვარაცხელიას მამიდამ.

# პოლიციამ ამოიღო 8.000 ლარი, 44 აბი სუბოქსინი, 247 შეკვრა ნარკოტიკი

## აჭარაში 5 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 5 პირი დააკავეს, მათ შორის ერთ-ერთი ნარკორეალიზატორია.

სამართალდამცველების მიერ ქობულეთსა და ბათუმში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულები არიან უცხო ქვეყნების მოქალაქეები: 1974 წელს დაბადებული თ.დ. 1993 წელს დაბადებული ბ.ა. 1989 წელს დაბადებული ვ.კ. ამავე წელს დაბადებული ო.პ და საქართველოს მოქალაქე – 1999 წელს დაბადებული ა.გ.

სამართალდამცველებმა ბ.ა. ბათუმში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ იგი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო რეალიზაციას ახდენდა. ბ.ა.-ს პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია მის მიერ ნარკორეალიზაციის შედეგად მიღებული ფული – 8.000 ლარზე მეტი და 44 აბი „სუბოქსინი“.

პოლიციამ ბრალდებული თ.დ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია 3 შეკვრად დაფასოებული, „მეტამფეტამინის“ შემცველი ნარკოტიკი. დაკავებულს ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარ-



კოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში ედება.

რაც შეეხება წარსულში ნასამართლევ ა.გ.-ს, იგი პოლიციამ ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავა. მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოღებულია 10 შეკვრად დაფასოებული, ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“-ს შემცველი ნივთიერება.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის, ასევე, ბათუმში დააკავეს ვ.კ. და ო.პ., რომელთა პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია 247 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება, მათ შორის, „ალფა-პვპ“.

გამოძიებით დადგინდა, რომ ვ.კ. და ო.პ ნარკოტიკულ საშუალებებს შემდგომი რეალიზაციის მიზნით სხვადასხვა ადგილზე, სპეციალურად შერჩეულ სამალავებში ათავსებდნენ.

დანაშაულები 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ბაიდენმა მაკრონს დარეკვა სთხოვა

## საუბარი რამდენიმე დღეში შედგება




საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან სატელეფონო საუბრისას მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისს განიხილავს, რომელიც აშშ-ს, ავსტრალიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის უსაფრთხოების საგანგებო პაქტის მიღებას მოჰყვა.

ამის შესახებ ინფორმაციას საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი ავრცელებს.

– აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა ჩვენს პრეზიდენტს სთხოვა, ესაუბრათ. უახლოეს დღეებში იქნება სატელეფონო დისკუსია პრეზიდენტ მაკრონსა და პრეზიდენტ ბაიდენს შორის, – განაცხადა გაბრიელ ატალმა ერთ-ერთ საინფორმაციო არხზე საუბრისას.

მისი თქმით, საფრანგეთი წყალქვეშა ნავების შესყიდვების გაუქმების თემაზე განმარტებებს მოითხოვს.

საფრანგეთმა აშშ-დან და ავსტრალიიდან ელჩები კონსულტაციისთვის გაიწვია, რისი მიზეზიც ავსტრალიას, აშშ-სა და გაერთიანებულ სამეფოს შორის უსაფრთხოების საგანგებო პაქტის მიღება გახდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც პაქტის მიღების შემდეგ ავსტრალიამ გადაწყვიტა, საფრანგეთისგან წყალქვეშა ნავები აღარ შეიძინოს. ამით გაუქმდა 2 ქვეყანას შორის დადებული კონტრაქტი, რომლის ღირებულება 40 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

შეერთებულმა შტატებმა მწუხარება გამოხატა ვაშინგტონიდან ელჩის გაწვევის გადაწყვეტილებას გამო

თეთრი სახლის მტკიცებით, აშშ გააგრძელებს მუშაობას ორ ქვეყანას შორის უთანხმოების მოსაგვარებლად.

უსაფრთხოების საგანგებო პაქტის მიღებას გამოეხმაურა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ჟან-ივ ლე დრიანი. მან შეთანხმებას საფრანგეთისთვის ზურგში დანის დარტყმა უწოდა.

# მსოფლიოში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების 5.92 მილიარდი დოზა გამოიყენეს

მსოფლიოს 184 ქვეყანაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების 5.92 მილიარდი დოზა გამოიყენეს.




დღეში 33.6 მილიონი ადამიანი იცრება.

ამ დროისთვის მსოფლიოში გამოყენებული ვაქცინები მოსახლეობის 38.6%-ის სრულად ვაქცინირებისთვისაა საკმარისი.

მსოფლიოს ქვეყნებში ყველაზე მეტი ადამიანი ჩინეთშია ვაქცინირებული, სადაც გამოყენებული დოზების რაოდენობამ 2.1 მილიარდს გადააჭარბა. ინდოეთში გამოყენებული ვაქცინების დოზების რაოდენობა 804 მილიონია.

ევროკავშირში ვაქცინების 554 მილიონზე მეტი დოზა გამოიყენეს, აშშ-ში კი – 384 მილიონი.

ვაქცინების 2 დოზით ევროკავშირში მოსახლეობის 62.7% აიცრა, აშშ-ში 54.5%, ჩინეთში კი – 72.3%.

# ავღანეთში აფეთქებებს მსხვერპლი მოჰყვა

სულ მცირე 7 ადამიანი დაიღუპა ავღანეთში აფეთქებების შედეგად.



დაშავებულია 30 ადამიანი.

აფეთქებები ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში და აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ ჯალალაბადში მოხდა.

ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები ამოქმედდა.

აფეთქებებს ისლამურ სახელმწიფოს უკავშირებენ.

თალიბანმა თავდასხმების შესახებ გამოძიება დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# წყვილმა ლატარიაში მოგებული მილიონი ნახევარ წელიწადში დახარჯა



ინგლისის დევონის საგრაფოს ქალაქ სიტონის მცხოვრებმა წყვილმა ლატარიაში მოგებული მილიონი ფუნტი სტერლინგი ექვს თვეში მთლიანად დახარჯა.

ნილ და სიუ სმარტები ლატარიის გათამაშების გამარჯვებულები ნახევარი წლის წინ, მარტში გახდნენ. თავდაპირველად ნილმა ვერ დაიჯერა, რომ მილიონერი გახდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იღბლიანმა ლატარიის ორგანიზატორი კომპანიისგან მოგების თაობაზე დადასტურება მიიღო, შეუდგა მეუღლესთან ერთად იმის დაგეგმვას თუ რაში აპირებდნენ მოგებული თანხის დახარჯვას.

სიუ სამსახურიდან განთავისუფლდა, ხოლო ნილმა გადაწყვიტა, რომ საპენსიო ასაკის მიღწევამდე ემუშავა. დაახლოებით 600 ათასი ფუნტი ბრიტანელმა წყვილმა ახალი სახლის შეძენაზე დახარჯა. ისინი პატარა ტერასიანი სახლიდან დიდ სახლში გადავიდნენ, რომელშიც მთელი ოჯახი, მათ შორის ნილის და სიუს მშობლებიც დაეტეოდნენ. თანხის ნაწილი წყვილმა პრემიალურ ობლიგაციებში ჩადო.

ნილმა ახალი მაზდას მარკის ავტომობილი იყიდა.

– თავდაპირველად იაგუარის ყიდვა მინდოდა, მაგრამ გონს მოვეგე და გადავწყვიტე ფულის ხარჯვაში მეტი სიფრთხილე გამომეჩინა, – განაცხადა მამაკაცმა. ასევე წყვილი მომავალ წელს კარიბის კუნძულებზე ორკვირიან კრუიზში გამგზავრებას გეგმავს.

# გაუმაძღარმა კატამ კინაღამ ქორწილი ჩაშალა



დიდ ბრიტანეთში გაუმაძღარმა კატა მინიმ ყვავილები შეჭამა, მოიწამლა და კინაღამ პატრონს ქორწილი ჩაუშალა.

სიძემ და პატარძალმა, რომელთა ვინაობა არ სახელდება, სახლში კოლეგებისგან მიძღვნილი ქორწილის წინა საჩუქრები მიიტანეს, რომელთა შორის შროშანებიც იყო. ქორწილამდე ორი დღით ადრე წყვილი იმ მოედანზე წავიდა, სადაც საზეიმო ცერემონიის გამართვა იყო დაგეგმილი, რათა იქ საორგანიზაციო საკითხები მოეგვარებინათ. მინი, რუსული ცისფერი კატა, სახლში დარჩა.

როდესაც წყვილი სახლში დაბრუნდა, კატას ცხვირსა და პირზე ნარინჯისფერი მტვერი შენიშნეს. მათ გადაწყვიტეს, კატა, ყოველი შემთხვევისთვის, ვეტერინარულ საავადმყოფოში მიეყვანათ იმის დასადგენად, რაიმე ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთი ხომ არ ჰქონდა შეჭმული. გზაში კატა ცუდად გახდა. ექიმებმა კატას სისხლის ანალიზი აუღეს, თირკმლების დეტოქსიკაცია გაუკეთეს და წვეთოვანი დაუყენეს. გაირკვა, რომ კატამ შროშანები შეჭამა, მოიწამლა და კინაღამ მოკვდა.

ცხოველმა სამი დღე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაატარა და, შესაბამისად, ქორწილი გამოტოვა. შაბათს წყვილს ექიმებმა შეატყობინეს, რომ ცხოველი თავს უკვე კარგად გრძნობდა და შეეძლო კვირას სახლში დაბრუნებულიყო.

# მამაკაცმა ლატარიაში მოგებული სოლიდური თანხა ერთ თვეში დაარიგა



ავსტრალიის ვიქტორიას შტატის მკვიდრმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და მთელი ფული ერთ თვეში დაარიგა.

2020 წლის აგვისტოში 47 წლის პიტერ ჩარლტონმა ლატარიაში 896,5 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

მამაკაცმა გადაწყვიტა ბედი ეცადა და ლატარიის სამი ბილეთი მას შემდეგ შეიძინა, როდესაც ჯიბის დანა, რომელიც ადრე მის გარდაცვლილ ბიძას ეკუთვნოდა, ავტომობილის სახურავზე დარჩა, ხოლო ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ ნივთი იმავე ადგილზე დახვდა. შეძენილი სამი ბილეთიდან ერთ-ერთი კი მომგებიანი აღმოჩნდა.

ავსტრალიელმა მოგება რამდენჯერმე გადაამოწმა, რათა მასში საბოლოოდ დარწმუნებულიყო, შემდეგ კი მის შესახებ მხოლოდ ახლო ნათესავებს და მეგობრებს აცნობა.

მის ანგარიშზე მოგებული თანხის ჩარიცხვიდან ორ კვირაში მამაკაცმა გადაწყვიტა, რომ მათი დატოვება არ სურდა და მათი დარიგება ამჯობინა. მან ფეისბუქით მისწერა მეგობრებს, რომ მისთვის თავიანთი საბანკო რეკვიზიტები მიეწერათ და შემდეგ კი ფული გადაურიცხა.

მან მოგების მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტოვა, რომელიც იპოთეკის დაფარვასა და ნახმარი მანქანის შეძენაზე დახარჯა.

# ზვიგენი მყვინთავს თავს დაესხა და ჰარპუნი და ნადავლი წაართვა



დაახლოებით სამმეტრნახევრიანი თეთრი ზვიგენი თავს დაესხა ავსტრალიელ მყვინთავს, რომელიც პირველად ახორციელებდა დამოუკიდებლად ჩაყვინთვას ქალაქ პერტის მახლობლად და ნადავლი წაართვა.

როგორც 34 წლის კრის ჯონსმა განაცხადა, მან ნაპირიდან საკმარის მანძილზე მოასწრო გაცურვა და წყალქვეშა თოფის დახმარებით, რამდენიმე თევზი მოინადირა. ამ დროს ის შეეჩეხა დიდ თეთრ ზვიგენს, რომელიც კაციჭამია ზვიგენის სახელითაა ცნობილი.

– მან ნადავლის გარეშე დამტოვა, ამასთან უბრალოდ კი არ წამართვა, ერთიანად გადაყლაპა თევზიც და ჰარპუნიც, – განაცხადა ჯონსმა.

ავსტრალიელის თქმით, როდესაც მტაცებელი თევზი შენიშნა, შეეცადა წყალქვეშა თოფი მისკენ მიემართა, მაგრამ ზვიგენმა იარაღიც წაართვა და ისევე მოულოდნელად გაუჩინარდა, როგორც მოულოდნელად გამოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# შედეგები

## 18 სექტემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვულვზი-ბრენტფორდი ..... 0:2
ბარნლი-არსენალი ..... 0:1
ლივერპული-კრ.პალასი ..... 3:0
სიტი-საუთჰემპტონი ..... 0:0
ნორვიჩი-უოტფორდი ..... 1:3
ასტონ ვილა-ევერტონი ..... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 5 | 4 | 1 | 0 | 12-1 | 13 |
| 2.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-1 | 10 |
| 3.მანჩესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 4.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 10 |
| 5.ევერტონი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| 6.ბრაიტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-3 | 9 |
| 7.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 3-3 | 9 |
| 8.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 10-5 | 8 |
| 9.ბრენტფორდი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 10.ასტონ ვილა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 11.უოტფორდი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-8 | 6 |
| 12.ლესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| 13.არსენალი | 5 | 2 | 0 | 3 | 2-9 | 6 |
| 14.კრ.პალასი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-8 | 5 |
| 15.საუთჰემპტონი | 5 | 0 | 4 | 1 | 4-6 | 4 |
| 16.ვულვზი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-5 | 3 |
| 17.ლიდსი | 5 | 0 | 3 | 2 | 5-12 | 3 |
| 18.ნიუკასლი | 5 | 0 | 2 | 3 | 6-13 | 2 |
| 19.ბარნლი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-9 | 1 |
| 20.ნორვიჩი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-14 | 0 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ჰალი-შეფილდი ..... 1:3
ბარნსლი-ბლექბერნი ..... 0:0
დერბი-სტოკი ..... 2:1
კარდიფი-ბორნმუთი ..... 0:1
ქპრ-ბრისტოლი ..... 1:2
ლუთონი-სუონსი ..... 3:3
მიდლსბრო-ბლექპული ..... 1:2
მილუოლი-ქოვენთრი ..... 1:1
პიტერბრო-ბირმინგემი ..... 3:0
პრესტონი-ვესტ ბრომვიჩი ..... 1:1
ფულემი-რედინგი ..... 1:2
ჰადერსფილდი-ნოტინგემი ..... 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

არმინია-ჰოფენჰაიმი ..... 0:0
აუგსბურგი-გლადბახი ..... 1:0
ბაიერნი-ბოხუმი ..... 7:0
მაინცი-ფრაიბურგი ..... 0:0
კიოლნი-ლაიფციგი ..... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 4 | 1 | 0 | 20-4 | 13 |
| 2.ვოლფსბურგი | 4 | 4 | 0 | 0 | 6-1 | 12 |
| 3.მაინცი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 4.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-9 | 9 |
| 5.ფრაიბურგი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-4 | 9 |
| 6.კიოლნი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-7 | 8 |
| 7.ლევერკუზენი | 4 | 2 | 1 | 1 | 12-6 | 7 |
| 8.უნიონი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 9.ჰერტა | 5 | 2 | 0 | 3 | 7-12 | 6 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 8-7 | 5 |
| 11.აუგსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-8 | 5 |
| 12.შტუტგარტი | 4 | 1 | 1 | 2 | 8-9 | 4 |
| 13.ლაიფციგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-7 | 4 |
| 14.არმინია | 5 | 0 | 4 | 1 | 3-5 | 4 |
| 15.გლადბახი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-9 | 4 |
| 16.აინტრახტი | 4 | 0 | 3 | 1 | 4-7 | 3 |
| 17.ბოხუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 |
| 18.ფიურტი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-13 | 1 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-ჰაიდენჰაიმი ..... 1:3
ფორტუნა-რეგენსბურგი ..... 1:1
კილი-ჰანოვერი ..... 0:3
ვერდერი-ჰამბურგი ..... 0:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რაიო-ხეტაფე ..... 3:0
ატლეტიკო-ბილბაო ..... 0:0
ელჩე-ლევანტე ..... 1:1
ალავესი-ოსასუნა ..... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 5 | 3 | 2 | 0 | 7-4 | 11 |
| 2.რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-6 | 10 |
| 3.ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 4.ბილბაო | 5 | 2 | 3 | 0 | 4-1 | 9 |
| 5.სოსიედადი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 6.ოსასუნა | 5 | 2 | 2 | 1 | 6-6 | 8 |
| 7.სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 8.რაიო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 7 |
| 9.ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| 10.მალიორკა | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| 11.ელჩე | 5 | 1 | 3 | 1 | 3-3 | 6 |
| 12.ბეტისი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| 13.კადისი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-8 | 5 |
| 14.ლევანტე | 5 | 0 | 4 | 1 | 6-7 | 4 |
| 15.ვილიარეალი | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 16.ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-3 | 2 |
| 17.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| 18.სელტა | 5 | 0 | 1 | 4 | 4-10 | 1 |
| 19.ხეტაფე | 5 | 0 | 0 | 5 | 1-8 | 0 |
| 20.ალავესი | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-ოვიედო ..... 1:1
ლეგანესი-ამორებიეტა ..... 1:0
სარაგოსა-სოსიედადი ..... 1:1
ხირონა-ვალიადოლიდი ..... 1:0
კარტახენა-ლუგო ..... 2:1

**იტალია. სერია ა**

ჯენოა-ფიორენტინა ..... 1:2
ინტერი-ბოლონია ..... 6:1
სალერნიტანა-ატალანტა ..... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 15-4 | 10 |
| 2.რომა | 3 | 3 | 0 | 0 | 9-2 | 9 |
| 3.მილანი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-1 | 9 |
| 4.ნაპოლი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 5.ფიორენტინა | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 9 |
| 6.ატალანტა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 7.ბოლონია | 4 | 2 | 1 | 1 | 5-8 | 7 |
| 8.უდინეზე | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 9.ლაციო | 3 | 2 | 0 | 1 | 9-4 | 6 |
| 10.ტორინო | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 6 |
| 11.სამპდორია | 4 | 1 | 2 | 1 | 5-3 | 5 |
| 12.სასუოლო | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| 13.ვენეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 14.ჯენოა | 4 | 1 | 0 | 3 | 5-10 | 3 |
| 15.ემპოლი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 16.კალიარი | 3 | 0 | 1 | 2 | 5-9 | 1 |
| 17.სპეცია | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |
| 18.იუვენტუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 19.ვერონა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |
| 20.სალერნიტანა | 4 | 0 | 0 | 4 | 2-12 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ბენევენტო ..... 0:2
ლეჩე-ალესანდრია ..... 3:2
მონცა-ტერნანა ..... 1:1
პერუჯა-კოზენცა ..... 1:1
რეჯინა-სპალი ..... 2:1
ვიჩენცა-პიზა ..... 1:3
ჩიტადელა-პორდენონე ..... 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლანსი-ლილი ..... 1:0
სტ.ეტიენი-ბორდო ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 5 | 5 | 0 | 0 | 16-5 | 15 |
| 2.ლანსი | 6 | 3 | 3 | 0 | 11-7 | 12 |
| 3.ანჟე | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 4.ნიცა | 5 | 3 | 2 | 0 | 12-2 | 10 |
| 5.მარსელი | 4 | 3 | 1 | 0 | 10-5 | 10 |
| 6.კლერმონი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-9 | 8 |
| 7.ლიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-8 | 8 |
| 8.ლორიანი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-7 | 8 |
| 9.მონპელიე | 5 | 2 | 1 | 2 | 11-9 | 7 |
| 10.სტრასბური | 6 | 2 | 1 | 3 | 10-11 | 7 |
| 11.რეიმსი | 5 | 1 | 3 | 1 | 6-6 | 6 |
| 12.რენი | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 13.მონაკო | 6 | 1 | 2 | 3 | 5-9 | 5 |
| 14.ლილი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-12 | 5 |
| 15.ბორდო | 6 | 1 | 2 | 3 | 7-13 | 5 |
| 16.ტრუა | 5 | 1 | 1 | 3 | 5-7 | 4 |
| 17.ნანტი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |
| 18.ბრესტი | 5 | 0 | 3 | 2 | 6-10 | 3 |
| 19.სტ.ეტიენი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-11 | 3 |
| 20.მეცი | 6 | 0 | 3 | 3 | 6-13 | 3 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

სოშო-პარიზი ..... 2:0
ტულუზა-გრენობლი ..... 4:1
დიჟონი-დიუნკერკი ..... 2:0
კევიი-ოსერი ..... 0:0
ნანსი-ლე ავრი ..... 1:1
ნიმი-ამიენი ..... 3:3
ნიორი-გენგამი ..... 2:0
პო-ვალანსიენი ..... 1:1
როდეზი-აიაჩო ..... 0:2
ბასტია-კაენი ..... 1:1

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ჰერენვენი-სიტარდი ..... 1:0
ტილბურგი-გრონინგენი ..... 2:1
აიაქსი-კამბური ..... 9:0
უტრეხტი-ვალვაიკი ..... 2:2

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფამილიკაო-მარიტიმუ ..... 0:0
ბელენენსეში-ჟილ ვისენტე ..... 1:1
აროუკა-გიმარაეში ..... 2:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

უფა-ხიმკი ..... 3:2
კრილია-როსტოვი ..... 4:2
ახმატი-კრასნოდარი ..... 0:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ოსტენდე-ბეერსხოტი ..... 3:1
მეხელენი-ლუვენი ..... 2:0
სენ ჟილუა-ვარეგემი ..... 2:1
შარლერუა-ბრიუგე ..... 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-ჰარტბერგი ..... 1:1
აუსტრია-ალტახი ..... 0:0
რიდი-ვოლფსბერგერი ..... 3:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სტ.ჯონსონი ..... 0:1
როსი-ჰართსი ..... 2:2
ჰიბერნიანი-სტ.მირენი ..... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

სივასი-გაზიანთეპი ..... 1:1
ქაშიმფაშა-ტრაბზონი ..... 0:1
ადანა-რიზე ..... 3:1
ანთალია-ბეშიქთაში ..... 2:3

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პანათინაიკოსი ..... 1:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-ბოლესლავი ..... 2:1
სლოვაცკო-ზლინი ..... 3:0
პლზენი-ჩესკე ..... 2:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-იაგელონია ..... 3:0
პოგონი-კრაკოვია ..... 1:1
რადომიაკი-სლასკი ..... 1:1
ლეხია-პიასტი ..... 1:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ინგულეცი-კოლოსი ..... 0:2
დნიპრო-ვერესი ..... 1:0
მარიუპოლი-შახტარი ..... 0:5
დინამო-ოლექსანდრია ..... 1:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

დეგერფორსი-სირიუსი ..... 1:2
მალმიო-დიურგარდენი ..... 1:1
ჰაკენი-მიალბი ..... 0:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-ჰაუგესუნდი ..... 3:2
ოდ გრელანდი-ლილესტრომი ..... 2:3

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ბათუმის დინამომ ლოკომოტივი გაანადგურა და ლიდერობა გაიმყარა



**დინამო (ბთ)-ლოკომოტივი 7:3**

**ბათუმი. აჭარაბეთ არენა**

1:0 ჯიღაური (21), 1:1 დარცმელია (51), 1:2 კირკიტაძე (55), 2:2 ნავალოვსკი (65), 3:2 ჯიღაური (69), 4:2 ფანცულაია (71), 5:2 გაფრინდაშვილი (79), 6:2 ფანცულაია (84), 7:2 აზაროვი (87), 7:3 გავაშელიშვილი (89)

**დინამო:** კუპატაძე, ჩაბრაძე (თ.გაფრინდაშვილი 19), მ.კობახიძე, აზაცკი, აზაროვი, ტეიდი, მანჯგალაძე (ნავალოვსკი 57), მამუჩაშვილი, ზარია (ფანცულაია 57), ჯიღაური (გროცურეკი 77), ჯოვინო (ნიქაბაძე 77)

**ლოკომოტივი:** სპენკელინკი, გაბაძე (მჭედლიშვილი 82), ვადი, ანდრონიკაშვილი, უბილავა, სამურკასოვი, შონია (კახაბრიშვილი 74), დარცმელია, თ.კირკიტაძე (ჭიაბრიშვილი 82), სიხარულიძე (გავაშელიშვილი 74), იმრანი

ფეხბურთისთვის უჩვეულო, დიდი ანგარიში დაფიქსირდა ბათუმში, სადაც ერთ მატჩში 10 გოლი გავიდა.

მასპინძელთა ასეთი უპირატესობა ცოტათი მოულოდნელიც კი იყო, თუ გავითვალისწინებთ, იმასაც, რომ მე-2 ტაიმის დასაწყისში ზღვისპირელები სულაც აგებდნენ მატჩს.

21-ე წუთზე ჯამბულ ჯიღაურმა ანგარიში გახსნა და გუნდები შესვენებაზე ასე გავიდნენ.

მეორე ტაიმში კი, 9 გოლი გავიდა. 55-ე წუთისთვის უკვე სტუმრები იგებდნენ – ბექა დარცმელიამ და თორნიკე კირკიტაძემ ლოკომოტივი დააწინაურეს და ბათუმელთა ლიდერობას საფრთხე დაემუქრა.

გია გეგუჩაძემ ცვლილებებს მიმართა და გაუმართლა კიდეც: ჯერ გიორგი ნავალოვსკიმ გაათანაბრა, შემდეგ ჯიღაურმა დუბლი მიითვალა, დუბლი გაიფორმა გიორგი ფანცულაიამაც, რომლის გოლებს შორის თორნიკე გაფრინდაშვილმაც შეაგდო, ბოლო გოლი კი, ირაკლი აზაროვის იყო. მატჩის ბოლოს ასევე შეცვლაზე შესულმა მამია გავაშელიშვილმა მხოლოდ ანგარიშის სხვაობა შეამცირა.

ლოკომოტივი, რომელმაც ეროვნული ლიგის ისტორიაში 7 გოლი პირველად გაუშვა, ცხრილში მე-5 პოზიციაზე დარჩა, ზღვისპირელებმა კი ისარგებლეს კონკურენტის წარუმატებლობით და ლიდერობა უფრო გაიმყარეს.

**დინამო (თბ)-დილა 0:0**

**თბილისი. დინამო არენა**

**დინამო:** პრიეტო, ზვადაგიანი, პაპავა (კობოური 46), ბენიო, ქარდავა, მორჩილაძე (სპორქსლედე 58), ხარაბაძე, რადინი (მექვაბიშვილი 76), კუცია (სხირტლაძე 46), ოსეი (ქავთარაძე 72), მარუშიჩი

**დილა:** გუგეშაშვილი, ჭიჭინაძე, მოსიაშვილი (კოუგბენია 70), ღუდუშაური (ნემსაძე 90+1), მაისაშვილი (მანზი 45), კაპანაძე, ობიერო, სანტოსი, გაგნიძე, სილვა, კამარა (ბუღრიძე 70)

ორივე გუნდმა კოვიდრეგულაციების გამო შეწყვეტილი ჩემპიონატის განახლების შემდეგ პირველი ქულა მოიპოვა. არადა, მატჩი ორივე კართან საგოლე მომენტების სიუხვით აღინიშნა, მაგრამ გატანა ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა, რითაც უფრო კონკურენტები ახეირეს.

თბილისის დინამო უკვე 5-ით ჩამორჩა ბათუმის დინამოს და საქმე კიდევ უფრო გაირთულა, ხოლო დილამ მე-3 ადგილი საბურთალოს დაუთმო.

**საბურთალო – თელავი 2:1 (0:0)**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

0:1 ჩოგაძე (75), 1:1 გოჩოლეიშვილი (77), 2:1 სეფერინგსი (90)

**საბურთალო:** გოშაძე, გოჩოლეიშვილი, კაკუბავა, ჯგერენაია, შ. ნონიკაშვილი, ტაბატაძე, ლ. ნონიკაშვილი (სეფერინგსი 70), მანდრიჩენკო (ცნობილაძე 82), ძებნიაური (გ. მამაგეიშვილი 82), კოხრეიძე (გულიაშვილი 56), შულაია (მალი 70).

**თელავი:** სანიკიძე, კაპანაძე (ჯანელიძე 70), თევზაძე, მარაქველიძე, ჯიქია, ჟუნიორი (ძოწენიძე 36), ფაცაცია, არდაზიშვილი (ჩოგაძე 56), შერგელაშვილი, ჩუკვურა (აშორტია 70), თოლორდავა.

მსაჯის მიერ დამატებული მე-3 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ნიკოლოზ მალიმ ფლანგიდან ჩააწოდა, საჰაერო ბრძოლა გერმანელმა სიმონ სეფერინგსმა მოიგო, რომელიც სადებიუტო შეხვედრას ატარებდა დედაქალაქელთა რიგებში და თავით გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ამ მნიშვნელოვანი 3 ქულით საბურთალო ცხრილში მე-3 ადგილზე აღზევდა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, საბურთალო ფლობდა სათამაშო უპირატესობას, მაგრამ მომენტები ნაკლებად იქმნებოდა. პირველი ტაიმი უგოლოდ დასრულდა.

მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, ყოფილმა საბურთალოელმა თემურ ჩაგოძემ თელაველები დააწინაურა. თუმცა, ზუსტად ორ წუთში გიორგი გოჩოლეიშვილმა კარგად ისარგებლა სტუმრების შეცდომით და მახვილი კუთხიდან გაათანაბრა ანგარიში. გამარჯვების მომტან გოლზე ზემოთ უკვე გითხარით...

**სამგურალი 4:0 სამტრედია**

1:0 ვერულიძე (7), 2:0 ფონიავა (25), 3:0, 4:0 კუხიანიძე (37, 71პ)

**სამგურალი:** ქვილითაია, პატარკაციშვილი (ბურჯანაძე 76), გილმორი, კუხიანიძე (ამინუ 76), ფონიავა, ჩიხლაძე (ტურე 64), ი.ახვლედიანი, ა.ვერულიძე (დოლიძე 70), ლ.ქურდაძე, გ.თევზაძე (ლეკვთაძე 64), კიკაბიძე

**სამტრედია:** ბ.ქურდაძე, ცეცხლაძე (პავიშიჩი 57), ასათიანი, კვირკვია, ო.კობახიძე (პრელჩეცი 57), არაბიძე, ახალაძე (შენგელია 67), ლომთაძე (რობაქიძე 76), ენდელაძე, გიორგაძე, გადრანი (კამლაძე 67)

მასპინძლებმა დიდი ანგარიშით, 4:0 მოიგეს. ალექსანდრე ვერულიძისა და პაპუნა ფონიავას გოლებს სერგი კუხიანიძემ დუბლიც (ერთი გოლი პენალტით) დაამატა.

ამ წაგებით სამტრედიელთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ხოლო წყალტუბოელები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მაღალი ადგილისთვის ბრძოლის შანსს.

სამგურალი 33 ქულით მე-6 პოზიციაზეა, ხოლო 13-ქულიანი სამტრედია ისევ ბოლო ადგილს იკავებს.

**ტორპედო-შუქურა 2:1**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 ბუკასი (6), 1:1 ჯერალდო (75), 2:1 ახვლედიანი (86)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, ნადარაია, მამასახლისი, ძარია (რეკიში 61), ზიდანი (მახარობლიძე 61), ბუკასი (წოწონავა 70), პარაგულგოვი (კარაგუნისი 46), თ.ახვლედიანი, ჩალაძე, ჩაკვეტაძე (მუდიმუ 89)

**შუქურა:** თებიძე, ჭანტურია, მუსელიანი (ბ.ვერულიძე 73), ხმალაძე (ვარშანიძე 65), ინგოროყვა (კვარაცხელია 65), კომახიძე, სარდალიშვილი (ძალამიძე 85), გ.გაფრინდაშვილი, კაკაშვილი, სპიჩკა, ჯერალდო

ტორპედომ საბურთალოს მსგავსად 2:1 იმარჯვა. რიონისპირელებმა ქობულეთის შუქურა დაამარცხეს. საბურთალოს მატჩის შედეგიც ხელსაყრელი გამოდგა ქუთაისელთათვის და შუქურასთან გამარჯვებით გასავარდნ ზონას კარგა ხნის შემდეგ დააღწია თავი.

გოლები მაროკოელმა მეჰდი ბუკასმა და თბილისის დინამოდან დამატებულმა თორნიკე ახვლედიანმა გაიტანეს, რომელმაც ახალ გუნდში საკუთარი ანგარიში გახსნა. შუქურადან თავი ბრაზილიელმა ჯეფერსონ ჯერალდომ გამოიჩინა.

ტორპედო და თელავი 25-25 ქულით მეშვიდე და მერვე პოზიციას იკავებენ, მეცხრეზე კი 21-ქულიანი შუქურაა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 24 | 14 | 8 | 2 | 50-20 | 50 |
| 2.დინამო (თბ) | 24 | 14 | 3 | 7 | 34-19 | 45 |
| 3.საბურთალო | 24 | 10 | 9 | 5 | 35-25 | 39 |
| 4.დილა | 24 | 11 | 6 | 7 | 28-23 | 39 |
| 5.ლოკომოტივი | 24 | 11 | 3 | 10 | 40-41 | 36 |
| 6.სამგურალი | 24 | 8 | 9 | 7 | 26-26 | 33 |
| 7.ტორპედო | 24 | 5 | 10 | 9 | 22-27 | 25 |
| 8.თელავი | 24 | 6 | 7 | 11 | 21-36 | 25 |
| 9.შუქურა | 24 | 4 | 9 | 11 | 19-31 | 21 |
| 10.სამტრედია | 24 | 3 | 4 | 17 | 20-47 | 13 |

# ბურჯანაძე ესპანეთში 17 ქულით დაბრუნდა



ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატი დაიწყო და პირველივე ტურში სოლიდური მოულოდნელობა მოხდა, რომლის მონაწილეც ლიგის გასული სეზონის საუკეთესო კალათბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი გიორგი შერმადინია. ქართველი ცენტრის ტენერიფე, რომელიც წინა სეზონში ნახევარფინალში გავიდა და ახლაც მაღალი მიზნები აქვს, ლიგის დებიუტანტ ბრეგანთან უშანსოდ – 73:92 დამარცხდა.

შერმადინი სასტარტო შემადგენლობაში იყო, მან სულ 24 წუთი ითამაშა და ცოტა დააკლდა ორმაგ დუბლამდე – 9 ქულა და 8 მოხსნა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი – 15 იყო. ბრეგანელებს ბოსნიელმა ჯანან მუსამ ულიდერა, რომელმაც 25 ქულა და 7 მოხსნა მოაგროვა.

ჯანან მუსა 2015 წელს თბილისში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალიდან გვახსოვს. მაშინ 16 წლის ბოსნიელმა მისსავე თანატოლს, გოგა ბითაძეს აჯობა კონკურენციაში.

შერმადინის გუნდი ესპანური ლიგის მომდევნო ტურში უნიკახას უმასპინძლებს.

ესპანეთის ლიგაში დაბრუნებულმა ბექა ბურჯანაძემ კი, ბეტისში სუპერდებიუტი მოიწყო. ქართველმა ფორვარდმა ახალ გუნდში პირველივე ტურში ითამაშა და თავის გუნდს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა. საქართველოს ნაკრების წევრმა 12 წუთში 17 ქულა მიითვალა, მისმა ბეტისმა კი, ბურჯანაძის ყოფილი გუნდი ანდორა დამატებით დროში დაამარცხა – 102:98.

ბურჯანაძემ შესაშური სიზუსტე გამოავლინა და 4-დან 4 ორქულიანი, 4-დან ერთი სამქულიანი და 6-დან 6 საჯარიმო ჩააგდო.

მომდევნო ტურში ბეტისი სტუმრად მურსიას დაუპირისპირდება, რომლის ღირსებასაც საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელი, თად მაკფადენი იცავს.

ვითიბი ლიგის სეზონი სუპერთასის გათამაშებით იწყება, რომელშიც გასული სეზონის 4 საუკეთესო გუნდი მონაწილეობს. თორნიკე შენგელიას ცსკა ნახევარფინალში კრასნოდარის ლოკომოტივ-ყუბანს დაუპირისპირდა და 91:78 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი სასტარტო ხუთეულში იყო, მის ანგარიშზე 5 ქულა, 2 პასი და ამდენივე ჩაჭრაა. შენგელიამ 5-დან 2 ორქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამიანი კი ააცილა.

ფინალში არმიელთა მეტოქე სანკტ-პეტერბურგის ზენიტი იქნება, რომელმაც მეორე ნახევარფინალში ყაზანის უნიკსს 83:76 აჯობა.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

**კალეიდოსკოპი**

## მამაკაცი ლატარიის წყალობით გამილიონერებულ შეყვარებულს დანით თავს დაესხა



უელსის ქალაქ ბარის მცხოვრებმა აღიარა, რომ მკვლელობის მიზნით თავს დანით დაესხა ლატარიის წყალობით გამილიონერებულ შეყვარებულს.

45 წლის სტივენ გიბსი და 49 წლის ემა ბრაუნი ერთმანეთს 11 წელი ხვდებოდნენ. ისინი კურორტ ბარიში სახლს ქირაობდნენ. 2017 წელს ბრაუნმა ლატარიაში 5,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო. ამის შემდეგ ქალმა 700 ათას ფუნტად ახალი სახლი იყიდა. აქტიურად დაიწყო ქველმოქმედებაში მონაწილეობა. ის ამ ყოველივეს გახმაურებას გაურბოდა, თუმცა მეგობრებმა მაინც გაიგეს და ფესბუქით ულოცავდნენ.

30 იანვარს, კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შემოღებული მკაცრი იზოლაციის რეჟიმის დროს, გიბსი ბრაუნს თავს დანით დაესხა. ქალმა სერიოზული ჭრილობები მიიღო სახე, ხელებსა და მუცელზე. ქალი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. ამ დროისთვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღნიშნული ინციდენტის შემდეგ გიბსი დააპატიმრეს. მან მკვლელობის მიზნით თავდასხმაში თავი დამნაშავედ ცნო. მოსამართლე რიჩარდ ტუომლოუს თქმით, ის საქმეზე განაჩენს ფსიქიატრიული ექსპერტიზის შემდეგ გამოიტანს. საქმის მომავალი განხილვა 8 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. გიბსი პატიმრობაში რჩება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა წლების განმავლობაში ამზადებს ბუნებრივ პროდუქტებზე წამლებს, მალამოებს, ლოსიონის, ორგანიზმის გასაწმენდ ნაყენებს.**

ყველა წამალი არის ბუნებრივი და მორჩენის 100%-იანი გარანტიით.

ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებების მკურნალობა ხდება უშუალოდ დაავადებისთვის დამზადებული სხვადასხვა მალამოთი და ლოსიონით.

**მოგირჩენთ:**

**თმის ცვენა** – მის მოსარჩენად საჭიროა ლოსიონისა და მალამოს გამოყენება;
**ტილების მოსაშორებლად** – ლოსიონი;
**კოღოსა და მწერების ნაკბენისთვის** – მალამო, რომელსაც აქვს სწრაფი ეფექტი;
**ნაწოლებისთვის** – მალამო, ლოსიონი;
**ჰაიმორიტისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**დამწვრობისთვის** – ლოსიონი, მალამო;
**ბუასილისთვის** – სანთლები, მალამო;
**მარილებისთვის** – ორგანიზმის გამწმენდი დასალევი სითხე;
**სოკოვანი დაავადებისთვის** – აბაზანები, მალამო;

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**

**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართული ტელეკომპანია; 2. რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოწყებული მეცნიერული ვარაუდი; 3. ფრანგული საიუველირო ფირმა; 4. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკული საზღვაო-საჰაერო სამხედრო ბაზა; 5. ფიცხი, ტემპერამენტიანი ადამიანი; 8. ქუჩის მუსიკოსების სახელწოდება საფრანგეთში; 12. ინდოეთის დედაქალაქი; 13. ჰავაის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი; 14. კათოლიკე მღვდელი პოლონეთში; 16. მარიამ ღვთისმშობლის სახელწოდება სვანეთში; 18. თაფლით და ქიშმიშით შეზავებული მოხარშული ხორბალი; 20. ოფიციალური დოკუმენტი.

**თარაზულად:** 6. შნო, მოხერხება; 7. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 8. იაპონური ციფრულ-ლოგიკური თავსატეხი; 9. პოპულარული ბაღ-რესტორანი ძველ თბილისში; 10. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 11. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 15. საზაფხულო აგარაკების სახელწოდება ნიდერლანდებში; 17. განუხორციელებელი ოცნება, ფანტაზია; 19. ქანების სანგრევი რკინის წვეტიანი იარაღი; 21. რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 22. მდინარე გურიაში; 23. თიხის წვრილყელიანი ღვინის სასმისი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გუდაური; 2. ალილო; 3. ბაბუშერა; 4. უოტსონი; 5. გარპაგონი; 9. ახტალა; 12. დუაიენი; 14. კოპოლა; 15. პაპი; 17. კასტა; 18. არია.

**თარაზულად:** 6. ჯუღელი; 7. ვალტორნა; 8. შანელი; 10. პოლკა; 11. ვინჩესტერი; 13. აკროპოლი; 16. კულაკი; 19. რენეგატი; 20. მაშავერა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გობსეკი; 2. ხაბელოვი; 3. საბენა; 4. ბამბა; 5. ჯაბადარი; 8. ვერდიქტი; 12. როჭო; 13. ელდორადო; 14. ინდიგო; 16. დებიუტი; 18. შანხაი; 20. გალო.

**თარაზულად:** 6. ფონოტეკა; 7. ავადჰარა; 8. ვენერა; 9. ხეპრე; 10. ხოჭოლავა; 11. ჰიდრანტი; 15. გლინტვეინი; 17. თორაძე; 19. გრიგოლეთი; 21. ბარცინო; 22. კონტრალტო; 23. გოდერძი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1112

ევრო — 3.6653

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2910

100 რუსული რუბლი — 4.2817

## ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისათვის




## მემფის დეპაი: „ბარსელონასთვის ყველაფერს გავაკეთებ“



ბარსელონას ჰოლანდიელმა შემტევმა მემფის დეპაიმ ახალ გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ მას სურს ტიტულების მოგება და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ბარსელონას დაეხმაროს.

დეპაიმ ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჯერჯერობით ის თავის საუკეთესო ფორმაში არ არის:

— ყოველდღე ვმუშაობ იმისთვის, რომ უკეთეს ფორმაში ჩავდგე და ვთვლი, რომ მალე ოპტიმალურ კონდიციებს აღვიდგენ. ბარსელონაში ბედნიერი ვარ და ამ გუნდისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

## რონალდუ: „მანჩესტერს ტიტულების მოგება შეუძლია“



მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნებულმა კრიშტიანო რონალდუმ რამდენიმე ინტერვიუ მისცა მედიას და თავის გეგმებზე ისაუბრა.

რონალდუს თქმით, მანჩესტერ იუნაიტედს დიდი პოტენციალი აქვს და ისინი შეეცდებიან, რომ ეს პოტენციალი მოედანზე მაქსიმალურად გამოიყენონ:

— მინდა, რომ გულშემატკივარი გავახარო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ, თუმცა, ასევე ვიცი, რომ ინგლისის ჩემპიონატის მოგება ძალიან რთული ამოცანაა. ჩემი თანაგუნდელების მჯერა.

## ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა მცირე ტრავმა მიიღო



ლივერპულის მცველმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო და ამ მიზეზით მან შესაძლოა რამდენიმე შეხვედრა გამოტოვოს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ ტრენტი უკვე შემდეგ მატჩში დაბრუნდეს მოედანზე.

არნოლდი ლივერპულის ერთ-ერთ ლიდერად ითვლება და მის გარეშე იურგენ კლოპის გუნდს შესაძლოა პრობლემები შეექმნას.

## გიორგი მიქაუტაძემ ბელგიის უმაღლეს ლიგაში პირველი გოლი გაიტანა



ბელგიის სერენის ქართველმა ფორვარდმა გიორგი მიქაუტაძემ ბელგიის უმაღლეს ლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

გუშინ, 19 სექტემბერს, სერენი ანტვერპენში ადგილობრივ გუნდს შეხვდა და 1:2 დამარცხდა.

შეხვედრის პირველი გოლი გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა, მაგრამ მასპინძლებმა შემდეგ 2 გოლის გატანა მოახერხეს და გამარჯვებაც მოიპოვეს.

რამდენიმე დღის წინ გიორგი მიქაუტაძემ ბელგიის თასის შეხვედრაში ლოკერენს 3 გოლი გაუტანა, რის შედეგადაც სერენმა ის მატჩი 3:0 მოიგო და შემდეგ წრეში გავიდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

— ბიჭო, ზღვასთან ცხოვრობ და ცურვა როგორ არ იცი.

— შენ რომ აეროპორტთან ცხოვრობ, რა, დაფრინავ?

●●●

თვითმფრინავი ვარდება. პილოტი დისპეტჩერს დაუკავშირდა და დახმარებას სთხოვს. დისპეტჩერი ეუბნება:

— თქვენი ადგილმდებარეობა და სიმაღლე მითხარით.

— კაბინაში მარჯვნივ ვზივარ, სიმაღლეში კი მეტრი ოთხმოცი ვარ.

●●●

მამა-შვილი ტელევიზორში მძლეოსნობაში შეჯიბრებას უყურებს. შვილი მამას ეკითხება:

— მამა, ეს კაცები რატომ გარბიან?

— პირველი რომელიც მივა, ჯილდოს მიიღებს!

— მაშინ, დანარჩენები რატომღა გარბიან?

●●●

ექიმმა მიხოს ბუასილის საწინააღმდეგო სანთლები გამოუწერა. მიხო ეკითხება:

— ექიმო, ეს სანთლები ანთებული უნდა გავიკეთო?...

●●●

ქმარი ქორწინების მოწმობას ეძებს, ვერ პოულობს და ცოლს გასძახებს:

— ქალო, სად არის ჩემი პატიმრობის მოწმობა?

— ეგ პატიმრობის მოწმობა კი არა, სიცოცხლის ბოლომდე სამჯერადი კვებისა და უფასო სექსის აბონემენტია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## თათია კობალაძე ყაზახურ „ვოისში“ მონაწილეობს



მომღერალი თათია კობალაძე ყაზახურ „ვოისში“ მონაწილეობს. მან ბრმა მოსმენებზე „სულიკო“ და „ჰალელუია“ შეასრულა.

არაერთი მუსიკალური კონკურსის მონაწილე ქართველმა მომღერალმა 4 მწვრთნელიდან 3 შემოაბრუნა და რჩეულთა შორის ადგილი სრულიად დამსახურებულად მოიპოვა.

თათიას გამოსვლის ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა და მან უამრავი გაზიარება და მოწონება დაიმსახურა.

## რუსთაველის თეატრი სეზონს პრემიერით გახსნის

20 სექტემბერს რუსთაველის თეატრი ახალ, 143-ე თეატრალურ სეზონს პრემიერით გახსნის. რობერტ სტურუა მაყურებელს მცირე სცენაზე შესთავაზებს ერთმოქმედებიან კომედიას, რომელიც სანდრო მეიფარიანის „ჯილდოს“ მიხედვით დაიდგა.

სპექტაკლში მონაწილეობენ ლელა ალიბეგაშვილი, გოგა ბარბაქაძე, ზურა ინგოროყვა, ბაჩი ლეჟავა, ტრისტან სალარიძე, ნიკა ქაცარიძე და ნატალია ყულოშვილი.

## მიშა გომიაშვილი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დააჯილდოვეს




მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიშა გომიაშვილი სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალზე მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დააჯილდოვეს.

ხელოვანმა ეს ჯილდო მიიღო მიშას როლის განსახიერებისთვის რეჟისორ ლალი კიკნაველიძის ფილმში „კახეთის მატარებელი“.

## მსახიობი კოტე მგალობლიშვილი კორონავირუსმა იმსხვერპლა



მსახიობი კოტე მგალობლიშვილი კოვიდ-19-თან ბრძოლაში დამარცხდა.

ის მაყურებლისთვის უბრალოდ „ბიჭიკო“ იყო ფილმიდან „უდიპლომო სასიძო“.

სამწუხარო ინფორმაცია ჟურნალისტმა ბესო ჩუბინიძემ გაავრცელა:

— „ბიჭიკო“ გარდაიცვალა — მსახიობი და პოლიტიკოსი კოტე მგალობლიშვილი გარდაიცვალა. კოტე მგალობლიშვილი გადაღებულია ფილმებში „ჩვენი ეზო“, რომელშიც გოჩას როლს თამაშობდა და „უდიპლომო სასიძო“, სადაც ყველასათვის ცნობილი და საყვარელი პერსონაჟი ბიჭიკო განასახიერა. იყო საქართველოს მე-4, მე-5 და მე-6 მოწვევის პარლამენტის წევრი 1995 წლიდან 2008 წლამდე.

## ალექსანდრე ლორთქიფანიძე და ანი მარდალეიშვილი ბიჭის მშობლები გახდნენ

ინტელექტკლუბის „რა? სად? როდის?“ მოთამაშეები ალექსანდრე ლორთქიფანიძე და ანი მარდალეიშვილი ულამაზესი გოგონას — ლილიანას შემდეგ, ბიჭის მშობლები გახდნენ.

ინფორმაცია ალექსანდრემ თავად გაავრცელა:

— დაიბადა პაოლო ლორთქიფანიძე. 3.650 კგ. 51 სმ. ანი თავს კარგად გრძნობს.

## „ყველა აგვაღელვა იაკობ გოგებაშვილის საფლავის ამბავმა“

მთაწმინდის პანთეონში მდებარე იაკობ გოგებაშვილის საფლავთან დაკავშირებით დავით ბრაგვაძე საჭირო ინფორმაციას გვამცნობს:



— ყველა აგვაღელვა იაკობ გოგებაშვილის საფლავის ამბავმა. განსაკუთრებით ბევრი ინტერპრეტაცია გამოიწვია სიტყვამ „გაიბნა“. რას ნიშნავს ეს „გაიბნა“, ან თუ გაიბნა, მერე თუ შეგროვდა?

ერთი, რაც აშკარად ირკვეოდა, ისაა, რომ ამ „გაბნევის“ ამბავიც დაიმალა და მერე რა მოხდა, იმისიც.

მოდი მოგიყვებით, რა მოხდა სინამდვილეში.

რიგი მიზეზების გამო, იაკობ გოგებაშვილის საფლავის მონუმენტი არ დგას საფლავზე, ის 90-იანი წლების დასაწყისშია ოდნავ გადაადგილებული.

ვინც მთაწმინდის პანთეონში ნამყოფი ხართ, გემახსოვრებათ, რომ მის გვერდით მერაბ კოსტავაა დამარხული. რომ წარმოიდგინოთ, იაკობ გოგებაშვილის საფლავი არის იაკობ გოგებაშვილის საფლავის მონუმენტსა და მერაბ კოსტავას საფლავის მონუმენტს შორის...

მონუმენტი რომ უშუალოდ საფლავზე არ დგას, არ იყო საიდუმლო ინფორმაცია. ბევრისთვის იყო ცნობილი. თუმცა არ იყო ცნობილი მერიის იმ სამსახურისთვის, რომელიც დრენაჟს აკეთებდა. იფიქრეს ბიჭებმა, საფლავი მონუმენტის ქვეშ იქნებაო და მის გვერდით დაიწყეს არხის გაჭრა. იქიდან გამომდინარე, რომ საფლავი მონუმენტის გვერდითაა, გაჭრილი არხი დააჯდა საფლავს და გოგებაშვილის ნეშტი „გაიბნა“.

ამის შემდეგ საქმეში ჩაერთო კვალიფიციური ხალხი, რომელთა ნაწილი ამ ამბის დამალვის წინააღმდეგი იყო, თუმცა არ მოუსმინეს. კვალიფიციური ადამიანების მიერ მოხდა გოგებაშვილის 206-ვე ძვლის შეკრება, სპეციალურ ყუთში ჩასვენება და იმავე ადგილას დაკრძალვა, სადაც დრენაჟის გაყვანამდე იყო დაკრძალული. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჩატარდა რელიგიური მსახურებაც.

ეს ყველაფერი ხდებოდა დღისით, მზისით და შეესწრო რამდენიმე ტურისტიც, რომლებიც, ცხადია, აზრზე ვერ მოვიდნენ, რა ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გოგებაშვილის ნეშტი დაკარგული არ არის და ამაზე სანერვიულო არ გვაქვს, პრობლემა მაინც რჩება პრობლემად.

ძალიან ხშირი მოვლენაა, რომ საფლავის ქვები არ დგას უშუალოდ საფლავებზე. თუნდაც უბრალო სასაფლაოებზე და არა მთლად პანთეონებში. გოგებაშვილის საფლავი არაა ამ პანთეონში ერთადერთი, რომლის მონუმენტი საფლავის თავზე არ დგას. აქედან გამომდინარე, მერიის შესაბამის სამსახურს აუცილებლად უნდა გაერკვია ასეთი დეტალები მსგავსი სპეციფიკის ადგილზე მუშაობის დაწყების წინ. მით უმეტეს, ისეთ ადგილზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ყველაზე სახელოვანი შვილები განისვენებენ.

ჩემი აზრით, ასეთი შეცდომის დაშვების შემდეგაც არ იყო აუცილებელი ამ ყველაფრის დამალვა და ჯობდა გვცოდნოდა, რა, როგორ და რატომ მოხდა.

სამწუხაროდ, ვერ ვასახელებ იმ სპეციალისტების ვინაობას, ვინც გოგებაშვილის ძვლები შეკრიბა და თავის ადგილზე დააბრუნა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

20 სექტემბრისათვის



**ვერძი** — ალკოჰოლის მიღება, წინდაუხედაობა უსიამოვნების წყაროდ იქცევა. ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **კურო** — სამოგზაუროდ წასასვლელად შესაფერისი დღეა. სტუმრების მიღება სხვა დროისათვის გადადეთ. **ტყუპები** — ცივი გონება საუკეთესო მრჩეველია. ემოციები აკონტროლეთ. პროვოკაციული დღეა. **კირჩხიბი** — კონფლიქტური სიტუაცია ძირშივე აღკვეთეთ. გაერიდეთ ემოციურად გაუწონასწორებელ ადამიანებს. **ლომი** — ყოველგვარი საქმე გადადეთ. გეგმები გეცვლებათ. ეცადეთ, მხოლოდ დაისვენოთ და გაერთოთ. **ქალწული** — მოულოდნელი ახალი ამბავი შესაძლოა სასიხარულოც იყოს და უსიამოვნოც. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. **სასწორი** — ახალი საქმიანი პროექტი პარტნიორებთან ერთად განიხილეთ. გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად ნუ მიიღებთ. **ღრიანკალი** — ემოციურად საკმაოდ რთული და არასტაბილური დღეა. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **მშვილდოსანი** — სწორი კვება, ფიზიკური ვარჯიში, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ჯანმრთელობას სასიკეთოდ წაადგება. ახლობელი საკმაოდ სასარგებლო რჩევას მოგცემთ. **თხის რქა** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დაბნეული და იმედგაცრუებული ხართ. დათრგუნეთ მოზღვავებული აგრესია. **მერწყული** — წვრილმანი საოჯახო საქმეები დღესვე დაამთავრეთ. აკონტროლეთ ბიუჯეტი. **თევზები** — შემოსავალი მოულოდნელად გეზრდებათ. მეგობარი დახმარების ხელს გიწვდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. პოპულარული ზღვის კურორტი ნეაპოლის ყურეში; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მდინარის საშუალო წლიური დონე; 4. ფსიქიკური დაავადების უმძიმესი ფორმა, როდესაც ავადმყოფი დუმს, არ მოძრაობა, არ რეაგირებს ტკივილზე; 5. სამხატვრო გამოფენის გახსნა; 9. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 12. ლიბანის დედაქალაქი; 14. თანამდებობის პირისთვის მოსასყიდად გაცემული თანხა; 15. იტალიელი მოდელიორი; 17. წამლის გამოშვების ერთ-ერთი ფორმა; 18. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 6. სხვადასხვა პოპულარული მოტივებისაგან შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები; 7. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 8. შრომის, ცხოვრების, დასვენების, კვების მტკიცედ დადგენილი წესი; 10. ამერიკული ავტომობილი; 11. მეტალურგიაში, გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი; 13. გეომეტრიული რვაკუთხედი; 16. აეროპორტი ნიუ იორკში; 19. გარემომცველ პირობათა ერთობლიობა; 20. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

